ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 26 ნოემბერი, 2018 №280 (7825) ფასი: 60 თეთრი

## „მონოპოლიები ხალხს ხელისუფლების დახმარებით ძარცვავენ“

გვ.5



დემურ გიორხელიძე: „დროა, საზოგადოებამ პროტესტი ეკონომიკურ პრობლემებზეც გამოხატოს“

# „ივანიშვილი მზადაა, ვაშაძის გაპრეზიდენტებას შეეგუოს“



გვ.4



გოჩა მირცხულავა: „ირაკლი კობახიძე „ოცნების“ ლიდერს ატყუებდა“



„მმართველი პარტიის ერთი ნაწილი სამოქალაქო დაპირისპირების სცენარზე მუშაობს“



## ემზარ კვიციანი: „დიდება ღმერთს, არა ნაცებს!“

გვ.2

თემირლან მაჩალიკაშვილის დედა: „ჩემს შვილს ოცნებები „ოცნებამ“ წაართვა“



## სოსო ცინცაძე: „დღეს ვაშაძეს დამარცხება უფრო აძლევს ხელს“

გვ.3

„ჩემთვის მაინც გამოცანად რჩება, რატომ აიტკივა აუტკივარი თავი ბიძინა ივანიშვილმა“

### სამართალი

გვ.7



იაგო ნებიერიძისთვის სასჯელის შემსუბუქება 2012 წელს ნანა კაკაბაძის დახმარებით მოხერხდა




ბათუმის კაზინო „პრინცესაში“ 30 წლის უზბეკი ქალი მოკლეს



„ნაციონალი ხარო და დამარტყეს“ ოპოზიციის მხარდამჭერი პოლიციას ცემაში ადანაშაულებს

### ეკონომიკა

გვ.5

ბიზნესის მოსყიდვის სპეცოპერაცია, სახელად „თეთრი ყვავი“

მორიგი სკანდალური ფარული ჩანაწერები





გვ.6

„სახელმწიფო ითვლება ჩამოყალიბებულად და განვითარებულად, თუ არსებობს პროგრესული გადასახადები“

არაკონკურენტული გარემო და კაბალური პირობები — როგორია საქართველოს რითეილ ბაზარი

გვ.6

ISSN 1987-9385

**3** ზაალ ანჯაფარიძე: „ასეთი ბინძური საარჩევნო კამპანია საერთოდ არ მინახავს“

**2** ჯუმბერ თავართქილაძე: „ვარშალომიძე და ძმანი მათნი 29-ში საქართველოში აღარ იქნებიან“

**7** მელიქიშვილზე კორპუსის მშენებლობიდან 30 წლის მამაკაცი გადმოვარდა მისი მდგომარეობა მძიმეა

# ემზარ კვიციანი: „დიდება ღმერთს, არა ნაცებს!“

შორენა მარსაგიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისს საპროტესტო აქციებმა გადაუარა. გუშინ, 25 ნოემბერს, თბილისში სამი აქცია გაიმართა. პატრიოტთა ალიანსმა ნაციონალების წინააღმდეგ გამართა თავისუფლების მოედანზე აქცია, შვილმოკლულმა მამებმა კი რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან გააპროტესტეს ხელისუფლების ქმედებები.

მესამე აქცია მრგვალ ბაღთან გაიმართა. ვაკელებმა ვაკეში დაგმეს ნაციონალები და პირობა დადეს, რომ მათ დაბრუნებას არ დაუშვებენ.

აღსანიშნავია, რომ გუშინ. 25 ნოემბერს, პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის დაბადების დღე იყო. მას 20 წელი შეუსრულდებოდა.

მისი ოჯახის წევრებმა და პანკისის ხეობიდან ჩამოსულმა მოქალაქეებმა ხელისუფლებისგან კიდევ ერთხელ მოითხოვეს ამ საქმის გამოძიება.

აქციის მონაწილეებს სიტყვით მაჩალიკაშვილის დედამ, მედიკო მარგოშვილმაც მიმართა.

– დაე, ჩემი შვილი იყოს ბოლო, ამ სისტემისგან განწირული. დღეს თემირლანი 20 წლის გახდებოდა, რომ არა ეს „ოცნების“ ხელისუფლება. დაე, ყველა დედას, ყველა მშობელს უმყოფოს შვილები ბედნიერი. ღმერთმა არ ანახოს ბავშვის სიკვდილი. არც ერთ დედას არ ვუსურვებ ჩემს მდგომარეობაში ყოფნას, – განაცხადა შვილმოკლულმა დედამ.

მან საგანგებოდ მიმართა პატრიოტთა ალიანსის ლიდერ ირმა ინაშვილს. შვილმოკლულმა დედამ ალიანსის ლიდერს მოუწოდა, რომ თუ მას ნამდვილად შესტკივა გული მაჩალიკაშვილების ოჯახზე, როგორც დედა, მის გვერდით უნდა იდგეს.

– რომ არა ეს ხელისუფლება, ჩემი შვილი 20 წლის გახდებოდა. ღმერთმა არ ანახოს არც ერთ დედას შვილის სიკვდილი. ჩემს შვილს ოცნებები „ოცნებამ“ წაართვა. ერთი წელია ვითხოვთ ამ ხელისუფლებისგან, აღიარონ თავიანთი დანაშაული, მაგრამ ტყუილად.

## თემირლან მაჩალიკაშვილის დედა: „ჩემს შვილს ოცნებები „ოცნებამ“ წაართვა“



ამ მკვლელებისგან არანაირი რეაგირება არ ხდება. დღეს გამოვდივარ და თამამად ვიტყვი – ძირს ეს მკვლელი ხელისუფლება, ძირს ეს „ოცნების“ მკვლელების ხელისუფლება, არა მკვლელებს, არა ბანდიტებს, არა ყაჩაღებს! სისხლისმსმელები ციხეში, მკვლელების ადგილი ციხეშია! თუ გული გაქვთ, თუ ოდნავ ნამუსი გაქვთ.

გავიგე, რომ ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი აქციას მართავს. შენ, ირმა ინაშვილო, პანკისის ხეობაში იყავი და ვითომ ჩემს მწუხარებას იზიარებდი, ყოჩაღ შენს ქალობასა და შენს დედობას! შენ თუ ნამდვილი დედა ხარ, აქ უნდა იყო, ჩემ გვერდით! მე თამამად ვიტყვი, ჩემი შვილი რომ რამეში ყოფილიყო გახვეული, სირცხვილით ხმის ამოღების უფლებას არ მივცემდი ჩემს თავს. რისთვის წამართვით შვილი? გომელაურო, როგორც შენ გიყვარს შენი ლუკა, ისე მიყვარდა მეც ჩემი თემირლანი, აღიარეთ, თუ გყოფნით ვაჟკაცობა, დანაშაული, – აღნიშნა მედიკო მარგოშვილმა.

აქციაზე იმყოფებოდა ზაზა სარალიძეც. 2 დეკემბერს მისი შვილის მკვლელობიდან ერთი წელი სრულდება. სამართალდამცავებმა სასტიკად მოკლული დათუნა სარალიძის მკვლელებს ამ დრომდე ვერ მიაგნეს.

– თემირლან მაჩალიკაშვილი გახდებოდა 20 წლის, მაგრამ მას ვერაგულად მოუსპეს ის სიცოცხლე, რომელსაც შენატროდა თავად თემირლანი. ჩვენ არ ვდგავართ აქ იმისთვის, რასაც გვაბრალებს ეს ხელისუფლება. ჩვენ ვდგავართ იმისთვის, რომ ჩვენი შვილების მკვლელები უნდა იყვნენ დასჯილი და, მე მგონი, ყველა ადამიანს ესმის ეს.

თუ ჩვენ გვინდა მშვიდობიან და სამართლიან ქვეყანაში ცხოვრება, ყველა მკვლელი უნდა იყოს დასჯილი. არ აქვს მნიშვნელობა, თანამდებობის პირი იქნება თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს.

რატომ დადიან დღეს ჩემი შვილის მკვლელები გარეთ, რატომ არიან თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელები დღეს გარეთ? რატომ არ გვცემენ ამ კითხვაზე პასუხს? იმიტომ რომ თავად არიან მკვლელები და თავად არიან მკვლელების ხელის მფარველები.

ჩვენ ამ ხელისუფლებას ან ვაიძულებთ, რომ ყველა დამნაშავე იყოს პასუხისგებაში მიცემული, ან ვაიძულებთ, რომ წავიდნენ სახლში და ყველა დამნაშავე ჩაჯდება ციხეში. ჩვენ არ ვაპირებთ უკან დახევას, იმიტომ რომ ჩვენ არა მარტო შვილები მოგვიკლეს, არამედ ჩვენი გვარის განშტოება დაგვიხოცეს. ამით გაანადგურეს ჩვენი განშტოება, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

შვილმოკლული მშობლების აქციაზე, როგორც მოსალოდნელი, იყო ბევრი ხალხი არ მივიდა. სამაგიეროდ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო თავისუფლების მოედანზე გამართული აქცია.

პატრიოტთა ალიანსის წევრები ამბობენ, რომ მათ აქციას 98.000 ადამიანი დაესწრო. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ თავისუფლებაზე გაცილებით ნაკლები ადამიანი შეიკრიბა. ნაციონალების თქმითვე, ალიანსს აქციაზე ხალხი „ქართულმა ოცნებამ“ დაახმარა.

„ოცნებისგან“ მხარდამჭერების დახმარებას არ ადასტურებენ, მაგრამ ალიანსელები ღიად უცხადებენ მხარდაჭერას „ოცნების“ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს.

მრავალრიცხოვან აქციას ბევრი გამომსვლელი ჰყავდა, მაგრამ ყველაზე ორიგინალური ემზარ კვიციანი იყო.

თავის გამოსვლაში მან ერთგვარი პროგნოზიც გააკეთა და დაასკვნა, რომ გრიგორ ვაშაძემ მეორე ტურში 7%-ზე მეტი არ უნდა აიღოს.

– დიდება ღმერთს, არა ნაცებს. ჩვენ დღეს ვაჩვენეთ, ვინ არის მეორე ძალა და არა მესამე და ეს ხართ თქვენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდილობდნენ წარმოეჩინათ ნაციონალები წინა პლანზე. აი, ვინ არის ძალა. ასე გაერთიანებულად, ასე ძლიერად 28-ში დავცეთ ბეჭებზე ნაციონალები.

ნაციონალური მოძრაობა შემოგვაპარეს, ის მარგინალი ნაციონალები, რომლებსაც თითქოს 600.000 ადამიანი უჭერს მხარს, ამდენი ადამიანი მხარს რომ უჭერდეს, მათ აქციებზე იქნებოდა ამდენი ხალხი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში.

ჩვენ ვიკრიბებით, რათა უარი ვუთხრათ სუსს, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას გვაპარებს, უარი უნდა ვუთხრათ ჟურნალისტებს, რომლებსაც წინა პლანზე ჰყავთ ნაციონალ-ფაშისტები და უცხო ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ, მართონ ჩვენი ქვეყანა. ყველას ვუთხრათ უარი ფაშიზმის დასაბრუნებლად. მეორე ტურში მაქვს მოლოდინი, რომ გრიგოლ ვაშაძე 7%-ს არ უნდა აცდეს, – განაცხადა კვიციანმა.

ალიანსის ლიდერმა ირმა ინაშვილმა კოაბიტაციას ქართველი ხალხის ღალატი უწოდა და განაცხადა, რომ მწამებლებს საქართველოს არ დაუთმობენ, ამბობს, რომ ის და მისი თანამოაზრეები ქუჩაში საქართველოს დასაცავად გამოვიდნენ.

თავის გამოსვლაში მან სალომე ზურაბიშვილსაც მიმართა და შთააგონა, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ ის ქართველი ხალხის წინაშე იქნება პასუხისმგებელი.

– ჩვენ დღეს საქართველოს ვიცავთ ყველანი. როცა ჩვენ ვამბობთ „არა ნაციონალურ მოძრაობას“, ჩვენ ვამბობთ არა პატიმრების წამებას, არა ახალგაზრდების ქუჩაში მოკვლას, არა ქონების წართმევას, არა ჩვენი ქვეყნის მიწების ჩაბარებას. საქართველო ქართველი ხალხისაა, ბოკერიები და სააკაშვილები არ გამოსწორდებიან. ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ, მივიდეთ არჩევნებზე და მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს. იცოდეს ქალბატონმა სალომემ, რომ მას ირჩევს არა „ქართული ოცნება“, არამედ ქართველი ხალხი.

ქალბატონი სალომე პასუხისმგებელია ქართველი ხალხის წინაშე, ქართველ ხალხს არავინ აღარ უნდა უღალატოს. კოჰაბიტაცია იყო ღალატი, ამ კრიმინალების გამოცხადება მთავარ ოპოზიციურ ძალად იყო ღალატი. ჩვენ ვართ მთავარი ოპოზიციური ძალა თქვენთან ერთად.

დღეს ყველა ვიცავთ ჩვენი შვილების მომავალს, არავისთვის დასათმობი საქართველო ჩვენ არ გვაქვს. საქართველოს მწამებლებს არ დავუთმობთ. ამიტომ, არა ნაციონალურ მოძრაობას, არა წარსულში დაბრუნებას!

ჩვენი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, გავაერთიანოთ. აფხაზებსაც უნდა ველაპარაკოთ, ოსებს ველაპარაკოთ. ყველგან უნდა ჩავიდეთ, მოსკოვი იქნება თუ ბრიუსელი. სოხუმშიც ჩავალ იმიტომ, რომ გაერთიანდეს ჩვენი პატარა ქვეყანა, – აღნიშნა ირმა ინაშვილმა.

# ჯუმბერ თავართქილაძე: „ვარშალომიძე და ძმანი მათნი 29-ში საქართველოში აღარ იქნებიან“

გულიკო ბალაძე

**როგორია საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ არსებული სიტუაცია, რა ცვლილებები შეიმჩნევა მეორე ტურის წინ? სიტუაციას მოძრაობა „საქართველოს ერთიანობის კავშირის“ თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე აფასებს.**

***– ბატონო ჯუმბერ, როგორ აფასებთ წინასაარჩევნო სიტუაციას, რა ცვლილებები შეიმჩნევა პირველი ტურის შემდეგ?***

– არჩევნების ბედი გადაწყვეტილია, უპირობოდ მოიგებს სალომე ზურაბიშვილი.

***– როგორ უპირობოდ?***

– 65-70 პროცენტს მიიღებს. პირველი ტურის შემდგომ შეიცვალა ორი რამ – პირველი, ნაციონალურმა ხროვამ კვლავ გამოაჩინა და გაგვახსენა, თუ როგორი ქვეწარმავლები არიან, მეორე – „ქართული ოცნება“ არჩევნებში ბოლომდე ჩაერთო.

***– რა გარწმუნებთ იმაში, რომ შეიძლება ზურაბიშვილმა ასეთი დიდი პროცენტით მოიგოს?***

– ამაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსთავი-2-სა და მიხეილ სააკაშვილს.

***– სხვა ფაქტორები არ მოქმედებს?***

– სხვა ფაქტორები არ არის საჭირო. ამას მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამები, ქვეწარმავალ ბიძამისის ქართველებზე გინება და „რუსთავი-2“ განაპირობებს, რომელმაც დაჭრილ კაცს რომ ჭრილობაზე მარილს დააყრი, ისე გააკეთა.



ახლა ჭრილობაზე მარილდაყრილები ამოვძირკვავთ დედაბუდიანად. ამაზე მეტი ფაქტორი რა საჭიროა ან ამაზე დიდი ფაქტორი რა შეიძლება იყოს? არც არაფერი.

***– ამბობთ, „ოცნება“ ბოლომდე ჩაერთო არჩევნებშიო. ნაცმოძრაობაშიც სრული მობილიზაციაა, პიარომია გამოცხადებული და გამარჯვებას ელოდებიან.***

– ზოგადად, ნაცხროვისა და მათთან განქორწინებულ-ხელახლა დაქორწინებულების მაქსიმუმია 12-17 პროცენტამდე. ისინი გამარჯვებას კი არ ელოდებიან, ზურაბ ჯაფარიძემ კანაფით კარგად დააბოლა და დესტაბილიზაციას აწყობენ.

მინდა, მივმართო ჯაფარიძეს, ორმაგი დოზით დააბოლოს ისინი და ნეტა ცადონ დესტაბილიზაცია, მერე ჭრილობაზე მარილდაყრილ ხალხს ვერც ბიძინა, ვერც ევროპა და ვერც ამერიკა ველარ გაგვაჩერებს, გადავთელავთ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

მიმიფურთხებია ისეთი ევროპული და ამერიკული დემოკრატიისთვის, როცა იცავენ მკვლელებს. ევროპაში დემოკრატია რომ არ იცოდნენ ზოგადად რა იყო, აქ საქართველოში თამარ მეფეს პარლამენტი ჰყავდა.

***– ძალიან აუღელვებიხართ სააკაშვილისა და მისი ბიძის, ალასანიას აზრს ქართველ ხალხზე.***

– მე ქართველი მამაკაცი ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი. აღელვებული არ ვარ. აღელვებული რომ ვიყო, მათ ისეთივე ეპითეტებით მოვიხსენიებდი, როგორც თვითონ საუბრობენ, მაგრამ, ღმერთმა დამიფაროს, მათ დონეზე დავეშვა. მე ყოველთვის მახსოვს დიდი ნოდარ დუმბაძის სიტყვები, რაც არ უნდა მოხდეს, კაცობა არ უნდა დაკარგოო. ისინი ისე ვერ გამომიყვანენ მწყობრიდან, კაცობა დავკარგო და მათ დონეზე დავეშვა.

***– ბათუმში ნაცებმა მოიგეს. ახლა რა განწყობაა ბათუმში?***

– მე დიდი ხანია, არ ვყოფილვარ ბათუმში, მაგრამ დღეს ჩემს თანამებრძოლებს ტელეფონით ვესაუბრე. მათგან ვიცი, რომ ყველაფერი რიგზეა. 28-ში დილით მეც შევუერთდები, რათა ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ. დამიჯერეთ, ვარშალომიძე და ძმანი მათნი 29-ში საქართველოში აღარ იქნებიან.

***– არაერთ ჩანაწერში, რომლებიც მედიით ქვეყნდება, სააკაშვილი და მისი ბიძა ვითარების დესტაბილიზაციაზე მიანიშნებენ. ბათუმში არა, მაგრამ შეიძლება თბილისში რუსთაველზე გადმოინაცვლონ. თქვენ ამ ვარიანტს არ განიხილავთ?***

– თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ზურაბ ჯაფარიძეს, უფრო კარგად დააბოლოს მის მიერ მოყვანილი მარიხუანით ნაციონალები და იქნებ ცადონ გასვლა რუსთაველზე. რასაც მიიღებენ, დაინახავენ. დღეს სიამაყის გრძნობით ვიდექი მოედანზე. იცით, რა მეამაყებოდა?

***– რა გეამაყებოდათ?***

– ის, რომ როცა ერს უჭირს, ყველა პატრიოტს გაერთიანება შეგვიძლია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: აქ არც ქალბატონი სალომე, არც „ოცნება“ უკვე აღარაფერ შუაშია. ჩვენ, უბრალოდ, ამ არჩევნებით ვიცავთ სამშობლოს, ერის თვითმყოფადობას, სულიერ თავისუფლებასა და ბოროტებაზე გამარჯვებას.

***– ალაპარაკდნენ არჩევნების შესაძლო გაყალბებაზე, სამი არასამთავრობოს განცხადება გაიხსენეთ.***

– მიმიფურთხებია ქაჯების განცხადებებისთვის. მაგ ქაჯების განცხადებებს დღეს ვუპასუხეთ თავისუფლების მოედანზე. გიგაურია არასამთავრობო სექტორი? წავიდეს, მერაბიშვილს რაღაც შეუგზავნოს, მისი გაზრდილია.

***– თავისუფლების მოედანზე გამართული აქცია, მგონი, ერთპარტიული არ იყო და უამრავი ადამიანიც მივიდა.***

– ეს არ იყო პარტიული შეკრება. თავისუფლების მოედანზე გამართული შეკრება პარტიული რომ ყოფილიყო, მე პირადად არ წავიდოდი. ეს იყო გაბრაზებული ხალხის თავყრილობა.

დავამატებდი ერთს: ბატონო ბიძინა, ქართველი ხალხი კიდევ გაძლევთ ერთ შანსს, რომ შეასრულოთ 2012 წლის დანაპირები.

***– ბათუმში ერთ-ერთი რესტორნის თავზე ყარაბაღისა და რუსეთის დროშები გამოკიდეს. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს?***

– ეს ინდივიდუალური მოქალაქეების მოქმედება არაფერ კავშირში არ იქნება და ვერც იქნება პოლიტიკასთან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „დღეს ვაშაძეს დამარცხება უფრო აძლევს ხელს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, მეორე ტურის წინ მოვლენების ასეთ დაძაბვას ელოდით?***

– რასაკვირველია. ამ დღეებში კიდევ უფრო დაიძაბება. გამსახურდია რომ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, კომუნისტებმა არჩევნები რომ წააგეს, მაშინაც კი არ ყოფილა ასეთი ვითარება. ეს უპრეცედენტოა. გარდა იმისა, რომ დაძაბულია, სკანდალურიცაა.

***– მეორე ტურის შედეგები გადაწყვეტილია თუ კიდევ შეიძლება, რამე მოხდეს?***

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ვალების განულებით ბიძინა ივანიშვილმა შედეგებში გარკვეული კორექტივები შეიტანა. ეს უდავოდ ასეა. ცხადია, ეს ღონისძიება ხანმოკლე ეფექტზე იყო გათვლილი, წინასაარჩევნო დატვირთვა ჰქონდა და აქვს. ევროპარლამენტარებშიც კი გამოიწვია ეჭვი, ეს ხომ არ არის ამომრჩევლის მოსყიდვა?!

ეს ღონისძიება იმუშავებს, მაგრამ ხანმოკლე ეფექტი ექნება და 5-6 თვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ამ განულებას არავითარი ეფექტი ეკონომიკური კუთხით არ ექნება. ღატაკ მოსახლეობას კარგი ცხოვრების გამო არ აუღია ეს ვალები. ამ ადამიანებს რა ალტერნატივა რჩებათ?! კი ჩამოაწერეს ვალები, მაგრამ ამით მათ ჯიბეში ფული ხომ არ გაუჩნდათ. სადილის დრო ხომ ყოველდღე მოდის.

კუთხეში მიმწყვდეულ მშიერ ადამიანზე უფრო საშიში არაფერია. რატომღაც, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სიღატაკე და შიმშილი ჭარბვალიანობის შედეგია, ამ დროს პირიქითაა! ჭარბვალიანობა არის სიღატაკის შედეგი. ესენი შედეგს მკურნალობენ და არა – მიზეზს. მძიმე ტკივილის დროს ტკივილგამაყუჩებელი რომ მიიღოს ადამიანმა, რომელიც მხოლოდ ერთი საათით გააყუჩებს ტკივილს, მერე ისევ დაიწყება.

მე ვშიშობ, რომ სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება და კრიმინალი, დანაშაული კიდევ უფრო გაიზრდება.

***– სოციალურ აფეთქებაზე საუბრობთ?***

– აფეთქებას კიდევ სხვა ბევრი კომპონენტი სჭირდება, პირველ რიგში – ქარიზმატული ლიდერი, რომელსაც ხალხი ენდობა. ასეთი ლიდერი დღეს საქართველოში არ არის. უკანასკნელი ასეთი ლიდერი იყო 2012-2015 წლებში ბიძინა ივანიშვილი.



***– მიხეილ სააკაშვილი საახალწლოდ ხელისუფლების ცვლილებას აანონსებს. ეს რა გ ზავნილია?***

– ეს არის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი. ეს ხდება ცივილიზებულ ევროპაშიც. კანდიდატი, რომელსაც ნული აქვს შანსი, ამბობს, გავიმარჯვებ, ამას ვიზამ და იმას ვიზამო. საფრანგეთში მარინ ლე პენის შანსი ეფემერული იყო, მაგრამ უკვე, როგორც პრეზიდენტი, ისე გამოდიოდა. სააკაშვილი პოლიტიკოსია, მან კარგად იცის სიტყვის ძალა, მისი ფასი. სხვა საკითხია, მაგის სიტყვას აქვს კი ის ძალა?!

***– გამორიცხავთ, რომ რევოლუციურ სცენარებს განიხილავდნენ?***

– გააჩნია, რა შედეგებით დასრულდება მეორე ტური. ძალიან რთული იქნება, ვაშაძის მომხრეებმა მკაცრად კონსტიტუციურ ჩარჩოებში დაიწყონ პროტესტის გამოხატვა, მაგრამ მათ კარგად უნდა ესმოდეთ, ერთი ნაბიჯის გადაცდენა და ეს უკვე იქნება ხელისუფლებისთვის საჩუქარი. იმ წუთში ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაეხსნება.

## „ჩემთვის მაინც გამოცანად რჩება, რატომ აიტკივა აუტკივარი თავი ბიძინა ივანიშვილმა“

ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ყველას ეტყვიან, რომ მათ აი, რა ჰქონდათ ჩაფიქრებული. რაც შეეხება მშვიდობიან პროტესტს, ეს ჯერ არავის აუკრძალავს დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

მე მაინც მგონია, რომ დღეს ვაშაძეს დამარცხება უფრო აძლევს ხელს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ 3-4 თვეში ვაშაძეს ის რეიტინგი, რომელიც დღეს აქვს, გაუნახევრდება. ეს ნებისმიერ შემთხვევაში ასეა, მით უფრო პრეზიდენტს, რომელსაც არაფრის ძალაუფლება არ აქვს და ვერაფერს გააკეთებს ხალხისთვის, რეიტინგი დაუვარდება.

პრეზიდენტს კონსტიტუციის ბორკილები ედება ხელ-ფეხზე, დამარცხებული კი იქნება, როგორც უსამართლოდ დაჩაგრული. საქართველოში უსამართლოდ დაჩაგრულის მიმართ, მოგეხსენებათ, როგორია საზოგადოების განწყობა. მთელი საზოგადოება ვაშაძისკენ იქნება. თანაც, ვაშაძე სააკაშვილი არ არის. მას ეტყობა, რომ დიპლომატია.

***– ბევრ საუბრობენ იმაზე, რომ შედეგების მანიპულირება ძალიან ძვირად დაუჯდება არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ, ზოგადად, ქვეყანას. ევროპელი პარლამენტარების შეფასებებზე რას იტყვით?***

– მე არ მახსოვს, ასე მკაცრად კრიტიკულები ყოფილიყვნენ ევროპარლამენტარები რომელიმე არჩევნების წინ. ეს ძალიან საყურადღებოა ხელისუფლებისთვის. ეს პირდაპირ სიგნალია, რომ ბევრის უფლება არ უნდა მისცენ საკუთარ თავს.

პოლიტიკური ევროპა უკვე დამფრთხალია და ეჭვის თვალით უყურებს არჩევნებს. ეს მართლაც ბეწვის ხიდია, უკან არ უნდა დავბრუნდეთ!

ჩემთვის მაინც გამოცანად რჩება, რატომ აიტკივა აუტკივარი თავი ბიძინა ივანიშვილმა.



***– კანდიდატთან დაკავშირებით საუბრობთ?***

– დიახ, დიახ! რაში სჭირდებოდა. დაეყენებინა ზურაბ აბაშიძის კანდიდატურა და ისე მოიგებდა ამ არჩევნებს, რომ საერთოდ გარეთ ვერც ვერავინ გაიგებდა, რა ხდება ჩვენთან და არც ამდენის დახარჯვა არ მოუწევდა. უღირს კი ეს არჩევნები ამდენ მილიონად თუ უკვე მილიარდ-ნახევარზეა სუაბარი?!

ბევრს საუბრობენ სალომე ზურაბიშვილის ქართულ ენაზე, აქ მთავარი არის ის, რომ ის ვერ იქცა ქართველ პოლიტიკოსად.

მე მყავდა მეგობარი ლევან ხაინდრავა (ივლიანე და გოგა ხაინდრავების მამა), ბრწყინვალე მწერალი, მწერალთა კავშირის წევრი, ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული, ჩინეთში წასული ემიგრანტების შვილი იყო, ჩინეთიდან ჩამოვიდნენ, მაგრამ ქართველი იყო სულით ხორცამდე. ისტორიას ახსოვს მაგალითები, თუნდაც ნაპოლეონი, რომელმაც ფრანგული კარგად არ იცოდა, მაგრამ ფრანგები აღმერთებდნენ, რადგან ის პოლიტიკურად ფრანგი გახდა და საფრანგეთისთვის სისხლს ღვრიდა.

სალომე ზურაბიშვილს ხელში კოზირი ჰქონდა. მას საქართველოში ხალხი არც კარგად იცნობდა და არც ცუდად. შანსი ჰქონდა, საუკეთესო თვისებებითა და მხარით გაეცნო საკუთარი თავი მთელი ქვეყნისთვის. მეტი მეგობარი შეეძინა, მაგრამ მან პირიქით მოახერხა, მეტი მტერი შეიძინა. სწორედ ამაშია მისი პრობლემა. როგორ უნდა იყოს ის გამაერთიანებელი პრეზიდენტი, მე არ ვიცი.

# ზაალ ანჯაფარიძე: „ასეთი ბინძური საარჩევნო კამპანია საერთოდ არ მინახავს“

იაგო ნაცვლიშვილი

მიმდინარე საარჩევნო კამპანიასა და შესაძლო ვერსიებზე „ახალ თაობასთან“ ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე საუბრობს:

***– ბატონო ზაალ, ვხედავთ, რომ უკიდურესად დაძაბული საარჩევნო გარემოა. გრძელდება ჩანაწერების ომი. რევოლუციურ სცენარებზე ვრცელდება ჩანაწერები. სადამდე შეიძლება, მივიდეს პროცესები?***

– პროცესი იმდენად შეიძლება შორს წავიდეს, რამდენადაც ადამიანების შინაგანი მორალი და პოლიტიკური კონიუნქტურა უკარნახებთ მათ, რომ დროა, გაჩერდნენ. თუ მათ აღვირმა ან მუხრუჭმა არ უთხრა, რომ დროა, გაჩერდნენ, მაშინ ისინი გააგრძელებენ ამ ყველაფერს.

***– ვინ უნდა უთხრას, რომ დაამუხრუჭონ?***

– უპირველეს ყოვლისა, თვითშენახვის ინსტინქტი რასაც ჰქვია. ჩვენ ყველანი საზოგადოების ნაწილი ვართ, ხალხი გვიყურებს, გვისმენს, თითოეულ ჩვენს სიტყვას აფასებს. შესაბამისად, არჩევნებით არ იწყება და არ მთავრდება ცხოვრება.

როგორც ჩანს, მათ მიცემული აქვთ გარკვეული დავალება, რომ ისე იმოქმედონ, როგორც მოქმედებენ. მათ აქვთ სტრატეგია, რომ გააკეთონ ისე, რასაც აკეთებენ.

***– ორივე მხარეს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. ყველა მხარეს თავისი სტრატეგია და ტაქტიკა აქვს და იმის მიხედვით მოქმედებენ. ის ბინძური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება, არანაირ ზნეობრივ ჩარჩოში არ თავსდება. აქ უკვე ადამიანის ზნეობრივ და შინაგან კატეგორიებთან გვაქვს საქმე.

***– ჩანაწერი, რომელიც სააკაშვილ-ვაშაძეს შორის გავრცელდა, რამდენად დამაჯერებელია? მიშამ თქვა, იმდენად სულელი გგონივართ, რომ ტელეფონზე განვიხილავ და სუს-ს ჩავუგდებ ხელშიო?***

– სატელეფონო ჩანაწერიც რომ არ ყოფილიყო, ისედაც ცხადია მათი განზრახვა, რომ ისინი ამზადებენ საპროტესტო გამოსვლებს. გადაიზრდება თუ არა რევოლუციაში, მეორე საკითხია. რამდენად შეძლებენ ისინი ხალხის დიდი ნაწილის გამოყვანას, რამდენად მოისურვებს ხალხი ამას, ექნებათ თუ არა მხარდაჭერა დასავლეთიდან.

რევოლუცია რომ მოახდინო, ამას გარკვეული ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს. 2003 წელს, როდესაც ვარდების რევოლუცია მოხდა, მას ჰქონდა ის ლეგიტიმაცია. იმ დროისთვის უკვე დადებული იყო როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარი დასკვნები, რომ ეს არჩევნები იყო გაყალბებული. პარალელური დათვლის შედეგები იყო ცნობილი, ეუთოს წინასწარი დასკვნა იყო ცნობილი, რომ არჩევნები ჩატარდა საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით, არ ასახავდა ამომრჩევლის ნებას და ა.შ. ანუ ამ გამოსვლებს ამან დაუდო ერთგვარი ლეგიტიმური საფუძველი.

თუ ამ არჩევნებზე არავის მიეცემა იმის საფუძველი, რომ ამტკიცოს, არჩევნები ტოტალურად გაყალბდაო, დასავლეთი მხარს არ დაუჭერს ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს.

წარმოიდგინეთ, აწყობს მას საქართველოში კიდევ ერთი გადატრიალება, როგორც არ უნდა იყოს ის შეფუთული? იმიტომ, რომ ამას ქვეყანაში მოჰყვება სერიოზული დესტაბილიზაცია და არეულობა, ანუ ამ ყველა



## „თუ არჩევნების ტოტალური გაყალბების საფუძველი არ იქნება, დასავლეთი ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს მხარს არ დაუჭერს“

ფაქტორის აწონ-დაწონით მოხდება ეს. არა მგონია, რევოლუციურ სცენარს რამე წარმატება ჰქონდეს, თუ ხელისუფლებამ რაღაც ფატალური შეცდომა არ დაუშვა, რაც გამოიწვევს ხალხის ქუჩაში გამოსვლას.

***– ანუ მაინც ყველაფერი ხელისუფლების თამაშის წესებზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი წესებით ითამაშებს?***

– რა თქმა უნდა, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ის, თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდება არჩევნები და რამდენად შენარჩუნდება ქვეყანაში სტაბილურობა. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ არ მოხდეს არეულობა და ა.შ.

როდესაც ხელისუფლება ხარ, შენ ხარ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებელი, თუმცა თავისი წილი პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც ეკისრება.

***– დიდი ხანია, ასეთი დაძაბული გარემო არ გვინახავს. ამას რით ხსნით?***

– ასეთი ბინძური საარჩევნო კამპანია საერთოდ არ მინახავს. 2012 წელსაც კი, როდესაც საზოგადოების პოლარიზების მომსწრე გავხდით, მაშინაც კი არ ყოფილა ასეთი ბინძური საარჩევნო კამპანია.

***– რას უკავშირებთ ამას?***

– ეს დაკავშირებულია ძალიან ბევრ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთან. ერთი შეხედვით, რთული ასახსნელია, იმიტომ რომ, ფაქტობრივად, ძალიან უფლებაშეკვეცილი პრეზიდენტის არჩევა ხდება, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ შემოტრიალდა ვითარება, როდესაც პრეზიდენტის არჩევამ შექმნა ისეთი საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გახდეს მისი დემონტაჟის დასაწყისი, იგივე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა.

გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, სადაც ის ამბობდა, იქნებ საერთოდ ოპოზიციას მივცეთ ეს თანამდებობაო. მაგრამ შემდეგ, როცა გააანალიზეს სიტუაცია, მათ გააცნობიერეს პოტენციური საფრთხეები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის არჩევის შემდეგ ელოდათ და ეს არჩევნები მათთვის გახდა პრინციპის საქმე.

აქედან გამომდინარე, ჯაჭვური რეაქციის ტიპით წარიმართა მოვლენები და როგორ განვითარდა პროცესები, ეს ყველასთვის ცნობილია. დეტალებში აღარ შევალ. ასეთია პოლიტიკის კანონები, როდესაც ფიქრობ, რომ რაღაც უმნიშვნელოა, შესაძლოა, ის უცებ გადაიქცეს მნიშვნელოვნად.

***– რა პროგნოზს გააკეთებთ, რას ელოდებით არჩევნების მეორე ტურისგან?***

– მე არ მაქვს პრეტენზია, რომ ჩემი შეფასება ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციაა, მაგრამ ჩემი შეფასება ასეთია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა კანდიდატმა მათი მხარდაჭერის რესურსი უკვე ამოწურეს. ის, რაც მიიღო ვაშაძემ და პლუს რამდენიმე პროცენტი, იმ ხმებიდან, რომლებიც „ევროპულმა საქართველომ“ მიიღო და მათთან შეერთებული პარტიების ელექტორალური რესურსიც რომ მივუმატოთ, მაქსიმუმ ეს შეიძლება იყოს 40-42%-მდე.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“, მე ვფიქრობ, რომ აქ ხმების მობილიზების უფრო მეტი რესურსია. ვგულისხმობ იმ ამომრჩეველს, რომელიც სახლში დარჩა ან ყველა გადახაზა. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ისინი გონივრულად იმოქმედებენ და მაქსიმალურად გამოიყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც მას, როგორც სახელისუფლებო პარტიას აქვს.

# „ივანიშვილი მზადაა, ვაშაძის გაპრეზიდენტებას შეეგუოს“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ და რატომ ატყუებს ბიძინა ივანიშვილს, რას აპირებს ის გრიგოლ ვაშაძის გამარჯვების შემთხვევაში, რა საიდუმლო გეგმა აქვს „ოცნების“ ლიდერების ნაწილს, ვისი თავები გაგორდება მეორე ტურის შემდეგ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი **გოჩა მირცხულავა** ესაუბრება.



## გოჩა მირცხულავა: „ირაკლი კობახიძე „ოცნების“ ლიდერს ატყუებდა“



***– სრულიად უუფლებო პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლამ ძალიან მწვავე სახე მიიღო. ასეთი მნიშვნელოვანია ეს თანამდებობა, რომ მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებები მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდიან?***

– პირველი ტურის შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ხელისუფლება დემოკრატიული ცვლილებებისთვის მზად არ არის. იმ პირობებში, როდესაც მმართველი პარტია „დამოუკიდებელი“ კანდიდატის მხარდასაჭერად ემზადებოდა, მათ პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული დისკრედიტაცია მოახდინეს.

ყველას გვახსოვს მათი ლიდერების განცხადებები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი არაფერს არ წარმოადგენს. ეს განცხადებები ეხებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტს. შემდეგ, როგორც დემოკრატიული მოცემულობა, გაჟღერდა, რომ მხარს „დამოუკიდებელ“ კანდიდატს დაუჭერდნენ.

ეს იმით ახსნეს, რომ ერთი ძალის ხელში არ მომხდარიყო ძალაუფლების სრული კონცენტრაცია. მე გაგახსენებთ რამდენიმე თვის წინ ივანიშვილის ნათქვამ ფრაზას – თუ ეს ასე არ გამოვა, მაშინ პრეზიდენტის პოსტი ოპოზიციამ წაიღოს.

როცა ვამბობ, „ოცნება“ დემოკრატიული ცვლილებებისთვის მზად არ აღმოჩნდა,ო ვგულისხმობ იმას, რომ მმართველ ძალას თავიდანვე გათვლილი უნდა ჰქონოდა, რომ ამ არჩევნებში მათი საპირწონე კანდიდატი ან ნაციონალური მოძრაობიდან იქნებოდა, ან „ევროპული საქართველოდან“.

ყოფილი ხელისუფლების წიაღიდან წამოსული კანდიდატები თუ ასეთი მიუღებლები იყვნენ, ეს თავიდანვე უნდა გაეაზრებინათ და ის აპოკალიფსიც უნდა ეგრძნოთ, რა სურათსაც ახლა გვიხატავენ – ნაციონალების კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოში ყველაფერი დამთავრდება.

დემოკრატიული პროცესებისთვის მზად რომ არ იყვნენ, ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ ამ 6 წლის განმავლობაში „ოცნება“ პოლიტიკურ ველზე მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან ოპონირებდა. სხვა პოლიტიკური ძალებისთვის მმართველ პარტიას კარი არ გაუხსნია. მიმდინარეობდა ამ ძალების დისკრედიტირება და მარგინალიზაცია.

***– „ოცნება“ ყოფილი ხელისუფლების მარგინალიზებასაც ცდილობდა.***

– ცდილობდა, მაგრამ ნაციონალურმა მოძრაობამ და „ევროპულმა საქართველომ“ შეძლეს, რომ პოლიტიკურ ველზე მძლავრად ყოფილიყვნენ წარმოჩენილი.

რომელმა კანდიდატმაც არ უნდა გაიმარჯვოს, ორივეს გაუჭირდება, იყოს ერის გამაერთიანებელი. ქალბატონი ზურაბიშვილი მაქსიმალურ დისტანცირებას ახდენს იმ მილიონი ამომრჩევლისგან, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მის წინააღმდეგ გააკეთა არჩევანი.

ქართველმა საზოგადოებამ მომავალი პრეზიდენტისთვის არ დაიშურეთ არც ლაფი და არც ტალახი. ყველას დაგვავიწყდა, რომ ამ გალანძღულებიდან ერთ-ერთი ხვალ-ზეგ სახელმწიფოს სიმბოლო უნდა გახდეს.

მეორე ტურის წინ ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ძალების მობილიზებას. მათ ავიწყდებათ ერთი რამ – ნებისმიერი ძალა ბოლოს იწვევს უკუძალას. სრულებით არ გამოვრიცხავ იმას, რომ ეს ძალა იფეთქებს. ეს რამდენიმე დღეში შეიძლება არ მოხდეს, მაგრამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ეს ძალა ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო მობილიზებული იქნება. ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, რამდენად შეასრულებს ბატონი ივანიშვილი თავის დაპირებებს ერთ წელიწადში.

აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ პიარკამპანიას, რომელსაც პარტიები ატარებენ. ეს პიარკამპანია ორივე მხრიდან იყო ძალიან რადიკალური. ამ წუთას რადიკალიზმი უფრო მეტად „ოცნების“ მხარეს არის. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერები ცდილობენ გარკვეული კონსტრუქციულობის შენარჩუნებას.

სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ საქმიან ოპონირებას. „ოცნება“ ხშირად უშვებს შეცდომებს და თავისავე ჩადებულ ნაღმებზე ფეთქდება. ოპოზიციაც უშვებს შეცდომებს, მაგრამ მათი შეცდომები წონიანი არ არის.

მეორე თვალშისაცემი მომენტი „ასავალ-დასავალის“ პირველი გვერდის გადამღერებაა. ამაში მილიონების დახარჯვა მმართველი გუნდისთვის წყალში გადაყრილი ფულია. ეს კი მათ შედეგს ვერ მოუტანს.

ხელისუფლებამ ძალიან ცუდი საარჩევნო ტაქტიკა და სტრატეგია აირჩია. სწორი სტრატეგია რომ შეერჩიათ, ახლა ამომრჩეველზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება არ დასჭირდებოდათ.

***– კანდიდატიც სწორად რომ შეერჩიათ, არც მაშინ იქნებოდა საჭირო ამხელა ალიაქოთი.***

– ამ კანდიდატის პირობებშიც კი შეიძლებოდა სწორი სტრატეგიის არჩევა, მაგრამ, ცხადზე ცხადია, რომ ის გუნდი, რომელიც არჩევნებზე მუშაობს, არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული.

გაერთიანებულმა ოპოზიციამ უფრო უკეთესად იმუშავა. ამის მიუხედავად, მტკიცედ ვდგავარ ჩემს აზრზე, რომ 28 ოქტომბერს მათ არ გაუმარჯვიათ. ქართველმა ამომრჩეველმა „ოცნებას“ უარი უთხრა. ივანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო ხალხის გაბრაზებისა და ნაწყენობის გამოხატვა.

შეძლებს თუ არა ნაწყენობის ფონის შენარჩუნებას გაერთიანებული ოპოზიცია, ამას რამდენიმე დღეში – 28 ნოემბერს ვნახავთ.

***– ივანიშვილმა თავის ბოლო ინტერვიუში ისაუბრა ფსიქოპროექტის კვლევაზე. არჩევნების პირველი ტურის მერე თქვენ „ახალ თაობასთან“ თქვით, რომ ფსიქოპროექტის მიერ ჩატარებული კვლევების შესახებ ივანიშვილს არასწორ ინფორმაციებს აწვდიდნენ.***

– ეს ჩემი ინფორმაცია, ფაქტობრივად, დაადასტურა ივანიშვილმა. დაადასტურა იმიტომ, რომ ეს იყო ფაქტი. მას მაშინაც ატყუებდნენ, როცა ეუბნებოდნენ, რომ არჩევნების წინ ზურაბიშვილის რეიტინგი იყო 53%. ეს მაშინ, როცა ქალბატონი სალომეს რეიტინგი 35%-ს არ სცდებოდა.

ახლა ივანიშვილი ამბობს, რომ ის ვიღაცებმა ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს, როცა ზურაბიშვილისთვის ნაადრევად მიალოცვინეს გამარჯვება.

***– ეს ვიღაცები რა მიზნით ატყუებდნენ ივანიშვილს?***

– ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, მამუკა მდინარაძე, არჩილ თალაკვაძე ანუ ის ხალხი, ვისაც არჩევნები ჩააბარეს, ფიქრობდნენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და პარტიული რესურსების ხარჯზე შეძლებდნენ ოპოზიციის კანდიდატების დამარცხებას.

## „მმართველი პარტიის ერთი ნაწილი სამოქალაქო დაპირისპირების სცენარზე მუშაობს“

ისინი ადმინისტრაციულ რესურსზე ამყარებდნენ დიდ იმედებს. არადა, სწორედ იმ ადმინისტრაციულმა რესურსმა მისცა ზურაბიშვილის წინააღმდეგ ხმა.

ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა, როცა თქვა, რომ პარტიის წევრებს შორის ატარებდნენ გამოკითხვას. პარტიის წევრებს შორის კი არ ატარებდნენ გამოკითხვას, არამედ პარტიის რესურსებით ატარებდნენ. აქედან „ოცნების“ ლიდერს ფულიც საკმაოდ მოუტეხეს. ადამიანები, ვისაც გამოკითხვა უნდა ჩაეტარებინათ, ოთახებიდანაც არ გადიოდნენ და ასე იძლეოდნენ კვლევის შედეგს.

ბატონ კობახიძეს ოდნავი პოლიტიკური ალღო და გონიერება რომ ჰქონოდა, უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ კვლევების შედეგებით ქალბატონი სალომე გამარჯვებული ვერ იქნებოდა.

თავიდანვე რომ ეთქვათ ივანიშვილისთვის, რა რეიტინგიც ჰქონდა მათ კანდიდატს, ახლა ეს ხელის გადაგრეხები, ოპონენტების დაჭრა და ცემა არ იქნებოდა აქტუალური.

ეს ყველაფერი აზიანებს ქვეყნის იმიჯს. „ოცნებას“ რატომღაც ავიწყდება, რომ ეს იმიჯი სახელმწიფოსია და არა – მათი. ბატონი კობახიძის ბედი ნაკლებად მაღელვებს, მაგრამ ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ნამდვილად ვფიქრობ.

ჩემი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ შეიძლება ვიღაცამ იკითხოს, რატომ ვისვრი უფრო მეტ კენჭებს „ოცნების“ ბოსტანში. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ დღეს „ოცნება“ წარმოადგენს ხელისუფლებას და მას ბევრად მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე ოპოზიციას.

საზოგადოებას გვაქვს სრული უფლება, ვუთხრათ პოლიტიკურ ძალებს, რომ ისინი არასწორად იქცევიან.

ხელისუფლებაში მოსულ ხალხს რატომღაც ასეთი აზრები უჩნდებათ, რომ ისინი არიან ყველაზე პატრიოტები, ყველაფრის მცოდნეები, მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოზე მათ აქვთ ექსკლუზიური უფლება, არიან შეუვალები და მერე პოლიტიკურ უტიფრებად გადაიქცევიან ხოლმე.

ეს უტიფრობა ხშირად მათი გონებით და პოლიტიკური ალღოს უქონლობით არის განპირობებული. ასეთ დროს პირველ რიგში ზიანდება სახელმწიფო.

სახელმწიფო დაზიანდა მაშინ, როცა პირველმა პრეზიდენტმა ვერ გაითვალისწინა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ეროვნული გვარდიის დაშლას. ასე დაზიანდა სახელმწიფო, როდესაც კორუფციაში ჩაფლულმა შევარდნაძის ხელისუფლებამ დამატებით 5 მანდატი ვერ გაიმეტა ნაციონალური მოძრაობისთვის. თუმცა მაშინ რევოლუციის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ შევარდნაძემ ქვეყანა კორუფციაში ჩაძირა.

ასე დაღუპა სააკაშვილმა ქვეყნის განვითარება და პროგრესი, როდესაც მან სახელმწიფოს მშენებლობა ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე განიზრახა.

ჩვენი უფლებების დარღვევა ახლაც გრძელდება. ვიღაცამ ამაზე შეიძლება გვითხრას, დღეს ადამიანებს ქუჩაში აღარ ხოცავენ. ადამიანის უფლებების დარღვევა მხოლოდ ქუჩაში ხალხის დახოცვა არ არის.

ჩვენი უფლებები ირღვევა, რადგანაც ყოველდღიურად ვღარიბდებით. ჩვენი უფლებები ირღვევა, რადგან ჩინოსნები ბიუჯეტიდან გვპარავენ ფულს, ჩვენი უფლებები ირღვევა იმიტომ, რომ შრომითი უფლება არ გვაქვს გარანტირებული. ჩვენი უფლებები ირღვევა მაშინაც, როცა საარჩევნო ყუთთან გაკეთებული ჩვენი არჩევანი შეიძლება ვიღაცისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს.

თუ ჩვენი პოზიცია გედევან ფოფხაძისთვის ან ახალი საბჭოთა ინტელიგენციისთვის მისაღები არ არის, თურმე ისინი ვიღაცის გამარჯვებას არ დაუშვებენ.

არადა, დემოკრატია უმრავლესობის დიქტატურას გულისხმობს და ამაზე უკეთესი ჯერ კაცობრიობას არაფერი მოუგონია.

ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არჩევნების დღეს თუ კორცხელისმაგვარ ინციდენტებს მოაწყობენ, ისინი ამით ქვეყნის პროგრესირებისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმის რაღაც ეტაპს დაასრულებენ, რადგანაც დასავლეთი უფრო ალმაცერად დაგვიწყებს ყურებას. არცერთი სკამი, არცერთი პერსონა არ ღირს იმად, რომ ჩვენ სახელმწიფო დავაზიანოთ.

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება თავის მომხრეებს არ მოუწოდებს, რომ მათ პოლიტიკური ოპონენტები ცემონ ან დაჭრან. ამ შემთხვევაში თვითშემოქმედებასთან გვაქვს საქმე და როდესაც თვითშემოქმედებასთან გვაქვს საქმე, იქ „ოცნებას“ შეიძლება მართვის სადავეები გაექცეს ხელიდან, მისი დაბრუნება კი ძნელი იქნება, მით უმეტეს, რომ, მოარული ხმების თანახმად, ამ პროცესებში შავი სამყაროს წარმომადგენლები არიან ჩართული. მათი ჩართვა „ოცნებას“ ძალიან ცუდად დაუბრუნდება.

***– რატომ დაუბრუნდებათ ეს ცუდად?***

– შავი სამყაროს წარმომადგენლები მომავალში აუცილებლად მოითხოვენ დივიდენდებს დღეს გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ. ეს კატეგორია ანგარების გარეშე არასდროს გაირჯება. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქურდული სამყარო პოლიტიკოსებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის მართვაში.

***– ისეთი სურათი იხატება, რომ გამოსავალი არ ჩანს. რომელმა კანდიდატმაც არ უნდა გაიმარჯვოს, არეულობა იქნება.***

– გამოსავალი არის. პირადად მე პოზიტიურად მენიშნა ივანიშვილის განცხადება, რისი თქმაც მას, როგორც თავად ამბობს, აუკრძალეს. საუბარია ფრაზაზე, რა მოხდა, თუ ვაშაძე გაიმარჯვებს.

ამ განცხადების გაკეთება იმ ჯგუფმა აუკრძალა ივანიშვილს, ვისაც შეიძლება, რაღაც დამოუკიდებელი სცენარი ჰქონდეს, რომლის საქმის კურსში „ოცნების“ ლიდერი არ იქნება.

***– რა სცენარზეა საუბარი?***

– სამოქალაქო დაპირისპირების სცენარზე. ზემოთ შემთხვევით არ გავიხსენე კორცხელი. ივანიშვილმა თქვა, რომ ვაშაძე თუ გაიმარჯვებს, არაფერიც არ მოხდება. ერთადერთი, შეიძლება პირველ პერიოდში ეკონომიკური სირთულეები შეიქმნას.

გამგები ალბათ გაიგებდა, ივანიშვილმა ღიად თქვა, რომ ის მშვიდად შეხვდება ვაშაძის გაპრეზიდენტებას. ტაშს არ დაუკრავს, მაგრამ არც გააპროტესტებს.

თუ ვაშაძე გაიმარჯვებს, ქვეყანას კატაკლიზმები ივანიშვილმა უნდა აარიდოს თავიდან. ის პრემიერთან ერთად უნდა გამოვიდეს და აღიაროს დამარცხება. ქალბატონი სალომე ამის გამკეთებელი არ არის.

ივანიშვილმა და პრემიერმა პირველებმა უნდა მიულოცონ გრიგოლ ვაშაძეს. ქალბატონი სალომე თუ გაიმარჯვებს, არა მგონია, ოპოზიციამ ქვების სროლა დაიწყოს.

***– თქვენ ხაზგასმით აღნიშნეთ, პრემიერმა და ივანიშვილმა უნდა აღიარონ დამარცხებაო. ირაკლი კობახიძე გამოგრჩათ თუ?***

– მოდით, პირდაპირ გეტყვით, კობახიძეს ვინ ეკითხება, მწვანილი რა ღირს ბაზარში. ახლა ის იმაზეა გადასული, რომ გადარჩეს. მას თავი იმ ტყუილების გამო აქვს გადასარჩენი, რითაც პირველი ტურის წინ კვებავდა ივანიშვილს. რამდენად დაივიწყებს „ოცნების“ ლიდერი პარლამენტის თავმჯდომარის ქოსატყუილობას, ეს მასზეა დამოკიდებული.

ქართულ პოლიტიკაში ბატონი კობახიძე მასკარადულ ტიპად ჩამოყალიბდა, რომელზეც არა მარტო ოპონენტები, არამედ მისივე გუნდის წევრები იცინიან.

# „მონოპოლიები ხალხს ხელისუფლების დახმარებით ძარცვავენ“

## დემურ გიორხელიძე: „დროა, საზოგადოებამ პროტესტი ეკონომიკურ პრობლემებზეც გამოხატოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე პასუხობს.

***– ბატონო დემურ, თბილისში საწვავის გაიაფების მოთხოვნით საპროტესტო აქციები დაიწყო. ამბობენ, რომ ნაციონალების მიერ არის ორგანიზებული. რა ხდება?***

– არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვის მიერ არის ორგანიზებული, ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა თუ სხვამ და ძალიანაც კარგი, იმიტომ, რომ ეს არის პირდაპირი ძარცვა! ხელისუფლების ნებართვით დაშვებული უმაღლესი რანგის ძარცვა, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს ყოველდღე ძარცვავს ვიწრო ჯგუფი.

ეს არის ოლიგოპოლიური ბაზარი, რომელიც დაშვებულია მახინჯი სახით, საქართველოს ხელისუფლებების მიერ, უკვე წლებია. არანაირი მიზეზი იმისა, რომ ასეთი ფასები იყოს, საქართველოში არ არსებობს.

***– ასეთი მაღალი ფასი საწვავზე არასდროს ყოფილა.***

– ასეთი ფასი მაშინაც არ ყოფილა, როდესაც ბარელი ნავთობი 145 დოლარი ღირდა. ახლა აიწყვიტეს ბოლომდე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფასები დაეცა დაახლოებით 18 დოლარით ბარელ ნავთობზე. ჩვენთან კი ვხედავთ ისევ განუკითხაობას, ისევ ზრდას.

***– სად არის კონკურენციის სააგენტო?***

– მე არ ვიცი, რისთვის არსებობს კონკურენციის სააგენტო, საერთოდ რა ფუნქცია აკისრია?! მთავრობა რისთვის არსებობს, როდესაც ასეთი სიტუაციაა. გაუგებარია, რა წარმატებებზე საუბრობენ, დააკვირდნენ ფასებს!

განა ნავთობპროდუქტებზეა მხოლოდ ასეთი ფასები, მედიკამენტებზეც ნახეთ, რა ფასებია, საშინელება ხდება! ნახეთ, პირველადი მოთხოვნის სასიცოცხლო პროდუქციაზე ფასები როგორია. ასეთი ფასები შეერთებულ შტატებშიც არ არსებობს.

ძალიან კარგია, თუკი ქართველი ხალხი თავის სოციალურ მდგომარეობას პასუხისმგებლობით მოეკიდება და როგორც მონა და ყმა არ იქნება მიჩერებული ვიღაც კაცზე, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს. ასეთი არასდროს გამოჩნდება, ასეთი მხოლოდ მესიებია, მესიები კი მიწაზე არ დადიან.

***– ანუ თქვენ მომხრე ხართ, რომ გააქტიურდეს ამ ტიპის საპროტესტო აქციები?***

– დიახ, რადგან ბოლო უნდა მოეღოს ამ უმსგავსობას, რომელიც ყალიბდება ამ ქვეყანაში, თუნდაც იმავე ბანკებთან დაკავშირებით, რომლებმაც 60 მილიონი მხოლოდ ჯარიმის სახით წაართვეს ქართველ ხალხს, თავისი არარეგულირებული და ეროვნული ბანკის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად, რომლებიც თავხედურად იქცევიან და ძარცვავენ მოსახლეობას.

ძალიან კარგი იქნება, რაც წესითა და კანონით არის დაშვებული, საკუთარი ინტერესების დასაცავად ქართველი ხალხი თუ მიმართავს ამ ხერხს.

***– აქ არის ვიწრო კლანური ინტერესები? ეს არის მონოპოლიური ფასები?***

– ეს არის ოლიგოპოლიური ბაზარი. ყველა სექტორში, რაც კი მე ჩამოვთვალე, არსებობს რამდენიმე მსხვილი მოთამაშე – ნავთობში 3-4 მსხვილი მოთამაშე, ბანკებში – 2 მოთამაშე, ფარმაცევტიკაში ასევე 3-4 მოთამაშე – აი, ესენი განაგებენ სიტუაციას.

***– სად არის ამ დროს ხელისუფლება?***

– რა თქმა უნდა, რომ არა ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა, წაყრუება და მფარველობა ამ ჯგუფებისა, ჩვენ გვექნებოდა ნორმალური საბაზრო გარემო, გვექნებოდა კონკურენტული გარემო და გაცილებით უკეთესი სიტუაცია.

მე არ ვიცი, აპირებს თუ არა რაიმეს ხელისუფლება. მან გააკეთა ის, რომ კიდევ უფრო გააძლიერა მონოპოლიური ჯგუფები და კიდევ უფრო დიდი ძარცვის საშუალება მისცა ამ ჯგუფებს.

***– რატომ, მისი ინტერესიც არის ამ ყველაფერში?***

– ხელისუფლება და ეს ოლიგოპოლიური ჯგუფები ერთი ჯგუფია სინამდვილეში, ამიტომ შერწყმა როდესაც ხდება მსხვილი ბიზნესისა და ხელისუფლების, მაშინ ყველგან ერთნაირი მდგომარეობაა.



ამიტომ არ შეიძლება ბიზნესის დაშვება ხელისუფლებაში და ამიტომ არ შეიძლება, მათი აბსოლუტურად მცდარი წარმოდგენები სახელმწიფო მართვაზე, ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ასე შემდეგ იყოს გაზიარებული. ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორააწყონ პოლიტიკა, რომ ეკონომიკა იყოს ეფექტური.

***– ეკონომიკის კარგად ყოფნას ბიზნესის კარგად ყოფნა ხომ სჭირდება?***

– ეკონომიკა რომ ეფექტური იყოს, ბიზნესი კარგად უნდა იყოს, აქ იგულისხმება მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესი. ბიზნესს აინტერესებს მხოლოდ საკუთარი საქმე. ამიტომ არის, რომ მე ძალიან უხეშ კომენტარებს ვაკეთებ, როცა ვხედავ, რომ პრემიერ-მინისტრები ბიზნესთან დადიან, განსაკუთრებით მსხვილ ბიზნესთან კონსულტაციებზე და იმათ უსმენენ, რა სჭირდებათ და რა – არა.

ეს არის გაუგონარი რამ, დაუშვებელი რამ! თუ ხელისუფლებაში ხარ, ისიც უნდა იცოდე, როგორ ააწყო პოლიტიკა, რომ ბიზნესი კარგად იყოს. ბიზნესის აზრი ამაში საერთოდ არ არის საჭირო, იმიტომ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი პოლიტიკაა, ვიდრე უბრალოდ ბიზნესი და მისი ინტერესები. როდესაც მიდიხარ და და დიდი ბიზნესის ერთ ინტერესთა ჯგუფს უკმაყოფილებ თავის მოთხოვნას, შენ ამას აკეთებ ინტერესთა სხვა ჯგუფების საწინააღმდეგოდ. ეს არის სწორედ დაუშვებელი!

***– ეკონომიკის მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოში უმუშევრობა ისტორიულ მინიმუმამდეა შემცირებული. რამდენად რეალური და ადეკვატურია ეს განცხადება?***

– მე ვფიქრობ, რომ ეკონომიკის მინისტრი დიდ გაუგებრობაშია და ეს ყველაფერი ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებს.

***– რას იტყვით ლარის კურსზე?***

– ლართან დაკავშირებით არაფერი ახალი არ ხდება. როცა დასჭირდათ, უცებ ჩამოიყვანეს ლარი ქვევით. ასე სად ხდება?! გაგაკრიტიკებენ, ჩამოსწევ, ცოტა ხანი გავა და ისევ ზევით ასწევ.

მე არაერთხელ მითქვამს, რომ ყოველი მოძრაობა ლარისა ზევით-ქვევით ნიშნავს დამატებით ასიათასობით ლარის ამოღებას მოქალაქეთა ჯიბეებიდან. წელიწადში ესენი ამას აკეთებ ალბათ რამდენიმე ასეულჯერ და რამდენიმე ასეულჯერ ვიღაც პატარა ჯგუფი სარგებლობს იმით, რომ ჰაერიდან აკეთებს ფულს.

რაღაც წარმოდგენა მაქვს, მსოფლიოში რა ხდება, მაგრამ ის, რომ ეროვნული ბანკი რომელიმე კერძო ინტერესთა ჯგუფის ფულის საკეთებელ ორგანოდ გადაქცეულიყო და მომსახურე რანგში დაეყვანათ ეროვნული ბანკი, ასეთი, საქართველოს გარდა, არსად მინახავს!

***– ხელისუფლება 600 ათასზე მეტ ადამიანს დაჰპირდა, რომ კრედიტები ჩამოეწერებათ. ამ ყველაფერზე რას ფიქრობთ?***

– ეს ყველაფერი ასე არ არის. არანაირი შესაფასებელი აქ არ არის. კერძო ჯგუფი რაღაცას აკეთებს არჩევნების წინ. რომ არა არჩევნები, აქ საერთოდ გასარჩევიც არაფერი იქნებოდა. „ქართუს“ მფლობელი თავისთავად არის პოლიტიკაში და ეს ამით არის განპირობებული.

ამ ყველაფერს ერთი პოლიტიკური შეფასება აქვს: ეს არის ამომრჩევლის მოსყიდვა! რაც შეეხება იურიდიულ შეფასებას, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, რა ტექნოლოგიით ათავისუფლებენ, მაგრამ, ვისაც ათავისუფლებენ, მისთვის, რა თქმა უნდა, შეღავათია. თუმცა, არსებული მდგომარეობა ისეთია, რომ ადამიანები უახლოეს ერთ წელიწადში ისევ ვალებში შევლენ, იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ აქვთ.

# რით „აჯობეს“ პრეზიდენტობის ქართველმა კანდიდატებმა მოლდოვის პრეზიდენტს?

მარიამ მჭედლიშვილი

საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიამ გაუგებარი და აგრესიული სახე მიიღო. წინასაარჩევნოდ კანდიდატები რეგიონში შექმნილ სირთულეებს კი არა, სათანადოდ ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემებსაც არ განიხილავენ. 2008 წლის ომის საკითხში კი მათი ზოგიერთი გზავნილი ემთხვევა რუსეთის პოზიციას.

რუსი ექსპერტები ამ საარჩევნო პერიოდში ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მოსკოვს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები ნაკლებად აინტერესებს – საქართველოში პრეზიდენტი სრულიად უუფლებო ხდება, ახლანდელი არჩევნები კი, რეალურად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გენერალური რეპეტიციაა.

პირველი ტურის შედეგები როგორც ევროპელმა, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ექსპერტებმა შეაფასეს „ქართული ოცნებისა“ და ივანიშვილის დამარცხებად და წარუმატებლობად.



იმის მტკიცება, რომ რუსეთს საქართველოში მიმდინარე არჩევნები ნაკლებად აინტერესებს, არ შეესაბამება რეალობას. შარშან კრემლთან დაახლოებული ანალიტიკოსები მიანიშნებდნენ, რომ საპარლამენტო მმართველობაზე გადასულ საქართველოს პრეზიდენტს მცირე უფლებები შერჩა, მაგრამ, ამის მიუხედავად, რუსეთი დეტალურად უნდა დაინტერესდეს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებითა და საპრეზიდენტო კანდიდატებით.

თავის დროზე მოსკოვი ჩაერია მოლდოვის საპრეზიდენტო მარათონში. მოლდოვის ახლანდელი პრეზიდენტი იგორ დოდონი ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება რუსეთის ინტერესების გამტარებლად. ამასთან, როცა საქმე ეხება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ რუსეთის წინააღმდეგ ხმას დოდონიც კი იმაღლებს. იგი მუდმივად საუბრობს მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და დნესტრისპირეთის დაბრუნებაზე.

იგორ დოდონს ხშირად რუსი მიმომხილველებიც აკრიტიკებენ. ამ დღეებში რუსებმა დოდონს კიდევ ერთხელ უსაყვედურეს. მათი შეფასებით, დოდონს რუსეთისგან მხოლოდ ეკონომიკური სარგებელი უნდა. თავისი ბოლო ოფიციალური ვიზიტის დროს მოლდოვის პრეზიდენტმა რუსეთში ეკონომიკური კავშირის გაღრმავების საკითხი განიხილა, რასაც მოაყოლა, რომ მზადაა, ხელი მოაწეროს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ერთობლივ დეკლარაციასა და ერთობლივი კომიტეტის შექმნას, რომელიც სტრატეგიულ საკითხებზე იმსჯელებს.

დოდონმა რუსეთში მიაღწია ბაჟის გაუქმებას მოლდოვური ხილ-ბოსტნეულისთვის. რუსეთში მყოფი მოლდოვის მოქალაქეებისთვის, რომლებმაც დაარღვიეს საიმიგრაციო კანონი, გრძელდება ამნისტიის პრაქტიკა.

დნესტრისპირეთთან კიშინიოვს აწყობილი ურთიერთობა აქვს. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ მოლდოვა ახლო მომავალში გამთლიანდება.

საქართველო მოლდოვაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყნად ითვლება, მაგრამ მისი მდგომარეობა ბევრად მძიმეა. ოფიციალურად, თბილისს მოსკოვთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, თუმცა რუსეთის შეფარულმა კონტროლმა საქართველოზე ფართო მასშტაბები მიიღო, ტერიტორიული მთლიანობის თემა კი თითქმის გამქრალია პოლიტიკური დღის წესრიგიდან.

შესაძლო სასიკეთო ცვლილებები მხოლოდ გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად შეიძლება მოხდეს. პრეზიდენტობის კანდიდატები და დღეს გააქტიურებული ქართული პოლიტიკური სპექტრი ამის იმედს არ იძლევიან.

# ბიზნესის მოსყიდვის სპეცოპერაცია, სახელად „თეთრი ყვავი“

## მორიგი სკანდალური ფარული ჩანაწერები

ბიზნესის მოსყიდვის სპეცოპერაცია, სახელად თეთრი ყვავი – მორიგი სკანდალური ფარული ჩანაწერები, რომლითაც დგინდება, რომ ბიძინა ივანიშვილი ხალხის ფულით ცდილობს, ბიზნესმენი ზაზა ოქუაშვილი მოისყიდოს. ჩანაწერიდან იკვეთება, რომ ქართული ოცნების თავმჯდომარე ბიზნესს არეკეტებს.

ფარული ჩანაწერი ფინანსთა სამინისტროში 26 ოქტომბერს გამართული ღამის შეხვედრის დეტალებს ასახავს. მოლაპარაკებას ფინანსთა მინისტრი ვანო მაჭავარიანი ხელმძღვანელობს. თათბირის მონაწილეები წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების დეტალებს ომეგა ჯგუფის დირექტორებთან ათანხმებენ.

ჩანაწერიდან დგინდება, რომ საგანგებო დავალებებს ფინანსთა მინისტრი შემოსავლების სამსახურის უფროსს აძლევს. ფარული ჩანაწერიდან ჩანს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე დღეს ბიძინა ივანიშვილის გუნდს უკვე მიღებული აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის კომპანიას 52-მილიონიანი დავალიანება აპატიოს, შეხვედრაზე ბოლო დეტალები თანხმდება.

ჩანაწერის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის ყოფილი ექსპერტი და ფინანსთა მინისტრის მოქმედი მოადგილე, მიხეილ დუნდუა, ითხოვს, ყველაფერი მალულად გაკეთდეს ისე, რომ დავალიანების ჩამოწერის ამბავს აჟიოტაჟი არ მოჰყვეს.

საუბრიდან ირკვევა, რომ მთავრობა მზად არის, 42 მილიონი ბიზნესმენს აპატიოს, მაგრამ ამ გარიგების გაფორმება ჩუმად უნდა – ჩანდეს, როგორც „თეთრი ყვავი“.

ივანე მაჭავარიანი – ანუ, ეს რეალურად ჩვენ ამ შემთხვევაში გამოგვდის რა? საგადასახადო შეთანხმება გამოგვდის, ხომ?

მიხეილ დონდუა – საგადასახადო შეთანხმება გამოგვდის. მე ვფიქრობ ასეთ რაღაცას, რომ ეს, ეს საკითხი ჩვენ ხომ სხვებთანაც გვაქვს გაკეთებული

**ივანე მაჭავარიანი** – გვაქვს, მაგრამ საგადასახადო შეთანხმება მთავრობაზეა

**მიხეილ დონდუა** – მთავრობაზეა, უნდა შეემატოს ეს საკითხი იმას, რომ მკვეთრად... ეს საკითხი, რაღაც ვარიანტი

**გიორგი ქურდაძე** – კი, განვიხილეთ ეს ყველაფერი და

**მიხეილ დონდუა** – ისე გავაკეთებთ, რომ არც თეთრი ყვავივით გამოჩნდეს და არც იყოს, რომ თქვენ დაგაკლდეთ რამე

**ივანე მაჭავარიანი** – და საგადასახადო შეთანხმება არი პრაქტიკა და გამოვიყენებთ ხოლმე, როგორც იცით, მაგრამ, მაგრამ ეს მთავრობაზე დასამტკიცებელი ის არის, რა ჰქვია, ამ ეტაპზე ეს გადახდილია (1 მილიონი ლარი)?

**გოგი ქურდაძე** – უკვე გადახდილია (1 მილიონი ლარი)

**ივანე მაჭავარიანი** – შეიტანეთ?

**ნიკოლოზ ასანიძე** – კი.

შეხვედრა 26 ოქტომბრით თარიღდება. დილიდან ზაზა ოქუაშვილი აანონსებს, რომ 4 საათზე ლონდონიდან საგანგებო განცხადებით ერთვება. ქართუ ბანკი დილით ომეგა ჯგუფის დირექტორებს უკავშირდება და 8-მილიონიან სესხს ყოველგვარი გარანტიის გარეშე, 2 საათში უმტკიცებს. შემოსავლების სამსახური 3-თვიანი უარის შემდეგ 4 მილიონის აქციზური მარკის გადაცემაზე თანახმაა და მარკებს მოკლე დროში, თანხის ჩარიცხვიდან 40 წუთში გასცემს, ფინანსთა სამინისტრო კი ზაზა ოქუაშვილის კომპანიას 52-მილიონიანი ვალის ჩამოწერას სთავაზობს.

გეგმის მიხედვით, დავალიანების დიდი ნაწილი 30 მილიონი ომეგას ჩამოეწერება – 10 მილიონს 5 წლის განმავლობაში დაფარავს. თან-



ხის გადახდა 2 წლის შემდეგ დაიწყება.

მიხეილ დუნდუას აქტიურობა, რომელიც ივანიშვილის გარემოცვის უახლოესი წევრია, ადასტურებს, რომ დავალება ომეგა ჯგუფისთვის დავალიანების ჩამოწერის შესახებ ხელისუფლებამ უშუალოდ ბიძინა ივანიშვილისგან მიიღო.

საუბრის ბოლოს ღამის თათბირის მონაწილეები სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე იშლებიან, რომლის შესახებ ინფორმირებულია ბრიტანეთის საელჩოც. შეთანხმება დოკუმენტურად მოგვიანებით უნდა გაფორმებულიყო.

ზეპირი მოლაპარაკება დოკუმენტურად გაფორმებული ამ დრომდე არ არის.

„რუსთავი 2“

# „სახელმწიფო ითვლება ჩამოყალიბებულად და განვითარებულად, თუ არსებობს პროგრესული გადასახადები“

საქართველოში სოციალური ფონის სიმძიმე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ეკონომიკურ განვითარებასა და სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებას რეალურად არანაირი გავლენა არ აქვს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. მიუხედავად გაუმჯობესებული სტატისტიკური მონაცემებისა, მოსახლეობის სოციალური ფონი კვლავ უმძიმესად რჩება. სიღარიბის მაჩვენებელზე, ინფლაციის დონეზე, უმუშევრობასა და ამ მონაცემების დათვლის მეთოდოლოგიაზე „ბანკები და ფინანსები“ ეკონომისტ **სოსო არჩვაძეს** ესაუბრა.



***– სიღარიბის მაჩვენებელი, მართალია, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, შემცირებულია, თუმცა, 2015 წელთან შედარებით, გაზრდილია. თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა განაპირობა საქართველოში სიღარიბის გაზრდა?***

– სიღარიბის ზრდაზე ცუდად მოქმედებს შემოსავლების ცვლილება და იმ სასაქონლო კალათის ღირებულება, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს საარსებო მინიმუმს, ასევე, მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაც. ჩვენ იმპორტზე ვართ დამოკიდებული და, თუკი ეროვნული ვალუტის კურსი ეცემა დოლართან, რომელიც ეხება იმპორტირებული საქონლის მოხმარებას, ფასები სწრაფად იზრდება და, შესაბამისად, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა იკლებს.

***– სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, უმუშევრობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია შესაძლოა, შეიცვალოს. აღსანიშნავია, რომ „საქსტატი“ უმუშევრობის მაჩვენებელს შორის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით ითვლის, თუმცა თქვენ რამდენად ეთანხმებით უმუშევრობის დათვლის დღეს არსებულ მეთოდოლოგიას, საჭიროებს თუ არა ის შეცვლას და თუ საჭიროებს რა მიმართულებით, რა შედეგს მივიღებთ მისი დათვლის მეთოდოლოგიის შეცვლით?***

– მეთოდიკა დიდი ხანია შესაცვლელია. ჩვენ ვართ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო და უნდა გავითვალისწინოთ ის მოთხოვნები, რომლებსაც ეს ორგანიზაცია უყენებს ამა თუ იმ ინდიკატორის გათვლას. ამიტომ, იმპროვიზაციით შემოქმედების უფლება ნაკლებად გვაქვს.

ჩვენთან დღეს მოქმედი მეთოდიკის მიხედვით, სოფლად უმუშევრობის დონე 4-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქში. თუ შევადარებთ მოსახლეობის შემოსავლებს ერთ შინამეურნეობაზე გათვლის. აღმოჩნდება, რომ ქალაქელ მაცხოვრებლებს 1.5-ჯერ მეტი შემოსავალი აქვთ ვიდრე სოფლად მცხოვრებელს. უმუშევრობის ის დონე სოფლად არ ასახავს რეალურ მდგომარეობას, სოფლიდან კი არ უნდა მიდიოდნენ ხალხი, არამედ ქალაქიდან სოფელში ახალი სამუშაო ადგილების მოსაძიებლად. დიდი ხანია მომწონს ეს ცვლილება და კარგია, რომ „საქსტატი“ სწორ ნაბიჯებს დგამს.

***– ოპოზიცია აპელირებს პენსიის 400 ლარამდე გაზრდის თემით. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად არის დღევანდელ დღეს პენსიის 400 ლარამდე გაზრდის შესაძლებლობა ან, თქვენი აზრით, რამდენით შეიძლება გაიზარდოს პენსია, ზოგადად რაზე უნდა იყოს მისი გაზრდა დამოკიდებული, ეკონომიკურ ზრდაზე, ინფლაციაზე თუ როგორ. იმ შემთხვევაში, თუ 400 ლარამდე გაზარდეს პენსია, რა მოხდება ქვეყანაში მაშინ?***

– არავინ არის წინააღმდეგი პენსიის გაზრდის, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია რესურსულ შესაძლებლობაზე. საქართველოს საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემა ჩვენს მეზობლებთან შედარებით, უფრო დაბალია საშუალო ხელფასის გადაფარვის მაჩვენებელი და ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. არსებული რესურსების ხარჯზე შეიძლება უახლოეს წლებში შევძლოთ 2-ჯერ მაინც გადაუსწროს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, მაშინ ჩვენ 2025-2030 წლებისთვის გვექნება შესაძლებლობა, რომ პენსია ავიდეს 400 ლარიან ნიშნულზე.

***– ლარის კურსის დევალვაცია პროდუქციაზე ფასებს ზრდის, თუმცა ინფლაცია მაინც მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ ინფლაციის დონეს დღეს არსებული ინფლაციის დათვლის მეთოდოლოგია?***

– ვფიქრობ გარკვეული კონსულტაციები სამსახურს უნდა ჰქონდეს გავლილი, როგორც ეროვნულ ბანკთან, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, თუმცა, მეტი აბსტრაქტულობა რომ არსებობდეს, უკეთესი იქნებოდა. მეორე ფაქტორი ის არის, რომ ჩვენ ვვაჭრობთ არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ბევრ ისეთ ქვეყანასთან, რომელთა ქვეყნის ვალუტები განიცდიან დევალვაციას ამერიკულ დოლართან, პირობითად თუ აზერბაიჯანული მანათი ეცემა დოლართან მიმართებით, ჩვენ აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საქონელი წესით არ უნდა გაგვიძვირდეს დოლარის კურსის დაცემის გამო. ჩვენი წილი დაახლოებით 4-5% არის ამერიკასთან ურთიერთობის, ხოლო აზერბაიჯანთან 10% მეტი არის. ჩვენი ძირითადი პარტნიორი რუსეთი იქნება, თურქეთი თუ აზერბაიჯანი ამ ქვეყნების ვალუტები ასევე განიცდიან დევალვაციას. ამიტომ ეს გავლენას ახდენს – ფასების საერთო დონეზე ქვეყანაში.

***– საქართველოში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%-ია ყველასთვის. გაჟღერდა ინიციატივა მაღალშემოსავლიანი პირებისთვის მაღალი საშემოსავლო გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას, საჭიროა თუ არა დღეს საქართველოში ხელფასების პროგრესული დაბეგვრა და თუ – კი, ეს რას მოუტანს ქვეყნის მოსახლეობას, ასევე სახელმწიფოს?***

– სახელმწიფო ითვლება ჩამოყალიბებულად და განვითარებულად, თუ არსებობს პროგრესული გადასახადები, თუ არსებობს უმუშევრობის შემწეობა და შრომითი ურთიერთობები როგორც იტყვიან საბაზრო ურთიერთობების ფორმატშია მოქცეული. რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს პროგრესული გადასახადი, მაგრამ აქ არსებობს მეორე საკითხი, რამდენად არის მზად ჩვენი საგადასახადო სისტემა აღნიშნული პროცესისთვის. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ისევ ამ მიმართულებით, რომ კანონი ყველასათვის უნდა იყოს კანონი და არ უნდა იყოს ეგრეთ წოდებული გასაძრომები არაკეთილსინდისიერი სუბიექტებისთვის.

# არაკონკურენტული გარემო და კაბალური პირობები — როგორია საქართველოს რითეილ ბაზარი

საცალო ვაჭრობა (გარდა საავტომობილო და მოტოციკლეტები) ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სწრაფად განვითარებადი ბიზნესსექტორია საქართველოში. კვლევითი ორგანიზაცია „კოლიერსის“ ბოლო, 2018 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 2016 წელს საცალო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობამ 10.6 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც, 2015 წელთან შედარებით, 8%-ით მეტია.

დღეის მდგომარეობით საქართველოში 12.500-ზე მეტი სავაჭრო ობიექტია რეგისტრირებული და აქედან, დაახლოებით, 10 ათასს მცირე და საშუალო სავაჭრო პუნქტები შეადგენს. შესაბამისად, გამოდის, რომ სავაჭრო ობიექტების დაახლოებით, 20% – ბრენდულ სუპერმარკეტებზე, 80% კი უბნის მაღაზიებზე მოდის.

## ბაზარს ის ტოვებს, ვინც კონკურენციას ვერ უძლებს

მიუხედავად იმისა, რომ ქსელურ მარკეტებს რითეილ ბაზრის მცირე ადგილი უკავიათ, გაყიდვებში მათი წილი საკმაოდ დიდია. სპეციალისტების შეფასებით, ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ უფრო მეტი რესურსი აქვთ. სუპერმარკეტები მომხმარებელს უფრო დაბალ ფასებს, კომფორტულ გარემოსა და მრავალფეროვან პროდუქციას სთავაზობენ. ორგანიზებული აქვთ ვაჭრობა და ამასთან, მომხმარებლებს პლასტიკური ბარათით გადახდის შესაძლებლობას აძლევენ, რასაც საცალო, პატარა მაღაზიები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ.

სამაგიეროდ, ქსელური მარკეტებისგან განსხვავებით, უბნის მაღაზიების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ე.წ. ნისიების რვეულია, რაც სოციალური ფონის გათვალისწინებით, დღესაც საკმაოდ აქტუალურია. გარდა ამისა, უბნის მაღაზიებში შეხვდებით ისეთ ადგილობრივ პროდუქციას, რომელმაც

ქსელურ მაღაზიაში, იქ არსებული საგადასახადო პოლიტიკის გამო, ვერ შეაღწია.

მცირე და საშუალო ადგილობრივი მწარმოებლები ხშირად საუბრობენ, რომ ქსელურ სუპერმარკეტებში პროდუქციის შეტანისას მათ საკმაოდ დიდ თანხებს სთხოვენ. თანხები ინდივიდუალური და განსხვავებულია იმის მიხედვით, რომელ თაროზე და კონკრეტულად რა ადგილზე გინდა პროდუქციის განთავსება. თვალისთვის ადვილად შესამჩნევ, თუ ე.წ. სარდაფში. როგორც სავაჭრო სფეროს სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ კუთხით ყველაზე უფრო აგრესიული ალბათ, „კარფურია“, რომელიც დომინანტურ პოზიციას იყენებს, რადგან ერთის მხრივ გაცილებით მეტი მოთხოვნა აქვს და ამასთან, მისი როგორც საერთაშორისო ბრენდის მიმართ უფრო ჭარბი ნდობა არსებობს.



აღნიშნულ ვითარებაში ის ადგილობრივი მწარმოებლები, რომლებისთვისაც ქსელური მარკეტები მიუწვდომელია, იძულებული არიან, საკუთარი პროდუქცია მცირე მაღაზიებში განათავსონ.

ასოციაციაში, რომელიც რამდენიმე დღის წინ მცირე მაღაზიების ინტერესების დასაცავად შეიქმნა, ბაზრის მოთამაშეებს – ქსელურ და მცირე მარკეტებს შორის არსებული დიდი კონკურენციის კიდევ ერთ მიზეზს ასახელებენ. მათი თქმით, არის შემთხვევები, როცა სუპერმარკეტები ითხოვენ, რომ მიმწოდებელმა პროდუქცია უფრო იაფად შეიტანოს, ვიდრე სხვა მაღაზიებში, რადგან მათ უფრო მეტი ბრუნვა აქვთ. ეს კი არაკონკურენტულ გარემოს ქმნის და მათ არათანაბარ პირობებში აყენებს.

მათივე განცხადებით, პრობლემაა მცირე და საშუალო მაღაზიების არაინფორმირებულობაც, რის გამოც მიმწოდელ კომპანიებთან ასოციაცია მათ ლობირებას გეგმავს, რათა ფასების დარეგულირება მოხდეს.

საკმაოდ დიდია კონკურენცია თავად ქსელურ მარკეტებს შორის. გარდა ფასდაკლების აქციებისა, ქსელები ერთმანეთს გარკვეულ პროდუქციაზე ექსკლუზიური უფლების მოპოვებითაც ეჯიბრებიან. კერძოდ, საუბარია შემთხვევებზე, როდესაც სუპერმარკეტი კონკრეტულ მიმწოდებელს უთანხმდება, რომ – „შენ ფული გადამიხადე და სხვას არ შემოვიყვან“. ამის მაგალითია, „ორი ნაბიჯი“, სადაც რიგი პროდუქტები მათ შორის „კოკა-კოლა“ არ იყიდება. ამის მიზეზად ზედაზენთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელდება, რადგან სწორედ „ზედაზენის“ „არსი კოლამ“ ჩაანაცვლა სუპერმარკეტში „კოკა-კოლას“ პროდუქცია. სავაჭრო სფეროს სპეციალისტის ივა ჭყონიას შეფასებით, მსგავსი შეთანხმებები ჩვეულებრივი პრაქტიკაა და კანონის საწინააღმდეგო არ არის. თუმცა, მისი აზრით, ასეთი ქმედება მომხმარებლის უფლებებს გარკვეულწილად ლახავს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა მაღაზიის თუ სუპერმარკეტის გახსნა არ ნიშნავს, რომ ისინი მოგების ერთსა და იმავე ნიშაზე მუშაობენ, თუმცა ხშირად ხდება, რომ გვერდიგვერდ მაღაზიის გახსნა შემოსავლის გაყოფას იწვევს. ანუ მომხმარებლის რაოდენობა ან მისი მსყიდველობითი უნარი კი არ იზრდება, არამედ არსებული მომხმარებლები გადანაწილდება. შესაბამისად, ბაზარს ტოვებს ის, ვინც კონკურენციას ველარ უძლებს. ხშირ შემთხვევაში კი, ეს უბნის მაღაზიებია.

## ფინანსური დავალიანებები და გაკოტრებული ბრენდები

ქსელური მარკეტების მთელი რიგი უპირატესობების მიუხედავად, სადისტრიბუციო კომპანიების მიმართ გაუსტუმრებელი ფინანსური დავალიანება არაერთ მსხვილ სავაჭრო ქსელს აქვს. ბოლო წლების განმავლობაში რითეილის ბაზარი რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოთამაშემაც დატოვა, ისე რომ თან მილიონობით დავალიანება გაიყოლა.

მათ შორისაა უკრაინული სუპერმარკეტების ქსელი „ფურშეტი“, რომლის მიმართაც გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმის წარმოება მიმდინარეობს. სავაჭრო სფეროს სპეციალისტის, დისტრიბუტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ივა ჭყონიას განცხადებით, „ფურშეტმა“ ვალის სახით 16 მლნ ლარი გაიყოლა და აქედან დაახლოებით 80% სწორედ სადისტრიბუციო კომპანიების დავალიანება იყო.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის ნოემბერში გაკოტრების საქმის წარმოება „ლა ფემილის“ მიმართაც დაიწყო, თუმცა მანამდე, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ივა ჭყონია „ლა ფემილიში“ არსებულ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე აქტიურად საუბრობდა. ჭყონიას თქმით, ბოლო წლებში არაერთი ქსელური მარკეტი გავიდა ბაზრიდან. მათ შორის იყო: „პოპული“, „ფურშეტი“ და ა.შ.

– იმაზე აღარ ვსაუბრობ, რომ საცალო მაღაზიები, ფაქტობრივად, ყოველდღე იხურება. დღეს ნებისმიერმა ქსელურმა სუპერმარკეტმა, ისე რომ გადაწყვიტოს ბაზრის დატოვება, როგორც ეს „ფურშეტმა“ გააკეთა, არა მხოლოდ ბევრი სადისტრიბუციო კომპანია, არამედ მთლიანად ეკონომიკა სერიოზულად დაზიანდება.

სავაჭრო ქსელებს უჭირთ ფინანსური ვალდებულების შესრულება და თავიდან იცილებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ნებისმიერი სუპერმარკეტი რომ აიღოთ, მის საკუთრებაში ქონება ფაქტობრივად, არ არსებობს. ყველას იჯარით აქვს უძრავი ქონება. ნებისმიერს შეუძლია გახსნას კომპანია-შპს, მოიზიდოს სადისტრიბუციო კომპანიები, შეატანინოს საქონელი, მაგრამ, საქმე ისე თუ ვერ წავიდა, მხოლოდ ბანკის მიმართ არსებულ ვალდებულებას გაისტუმრებს და სადისტრიბუციო კომპანიებს, მარტივად რომ ვთქვათ, „გადაყრის“, რაც არაერთხელ მომხდარა, – აცხადებს ჭყონია.

## რითეილის ბაზარი ციფრებში

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მე-2 კვარტლის მონაცემებით, საბითუმო და საცალო ვაჭრობის; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის სფეროში ბრუნვამ 8.887 მლრდ ლარი შეადგინა, მაშინ როცა მთლიანად ბრუნვა 19.922 მლრდ ლარი იყო.

ასევე სწორედ ამ დარგზე მოდის მთლიანად, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობის დიდი ნაწილი. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში 656 526 კაციდან 165 909 კაცი საბითუმო და საცალო ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი) დარგში იყო დასაქმებული.

რაც შეეხება კონკრეტულად ბრენდულ მაღაზიებს, ყველაზე მეტი ფილიალი მთელი საქართველოს მასშტაბით აქვს „ნიკორას“ 242 მაღაზია. ბაზარზე 131 ობიექტით არის წარმოდგენილი „ორი ნაბიჯი“. სამეულში შედის „სპარი“, რომელსაც დღეს 97 სავაჭრო ობიექტი აქვს. „კარფური“ საქართველოში 12 სავაჭრო ობიექტით არის წარმოდგენილი, „უნივერსამი“ – 9, „ფუდმარტი“ – 18, „იოლი გასტრონომია“ – 7, „სმარტი“ – 16, „გუდვილი“ – 8, „ფრესკო“ – 8.

**BPN**

# ბათუმის კაზინო „პრინცესაში“ 30 წლის უზბეკი ქალი მოკლეს



## დააკავეს თურქეთის მოქალაქე ლ.უ.

23 ნოემბერს, ღამით, ბათუმში, სამორინე „პრინცესაში“, ახალგაზრდა ქალი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს.

გარდაცვლილს ჭრილობა გულ-მკერდის არეში დანით ჰქონდა მიყენებული. ცხედარი ბათუმის პროზექტურაში გადაასვენეს. მეორე დაჭრილი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც თვითმხილველებმა განაცხადეს, მომხდარში სავარაუდო დამნაშავე თურქეთის მოქალაქეა, ხოლო გარდაცვლილი და დაჭრილი ქალები უზბეკეთის მოქალაქეები არიან.

თვითმხილველების თქმით, ქალებს მამაკაცი მოულოდნელად დაესხა თავს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბათუმში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1961 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ლ.უ. დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 24 ნოემბერს, ღამით, ბათუმში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში, ეჭვიანობის ნიადაგზე, ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს – 1987 წელს დაბადებულ ი.ზ.-ს და 1980 წელს დაბადებულ ჰ.მ.-ს. ი.ზ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მეორე დაჭრილი კი მკურნალობას სამედიცინო დაწესებულებაში განაგრძობს.

# იაგო ნებიერიძისთვის სასჯელის შემსუბუქება 2012 წელს ნანა კაკაბაძის დახმარებით მოხერხდა



გორში 8 წლის გოგონას სადისტურ მკვლელობაში ბრალდებულის კრიმინალური ბიოგრაფიის ახალი დეტალები გახდა ცნობილი – როგორც ირკვევა, იაგო ნებიერიძე ნანა ბერიაშვილის მკვლელობისა და ზაქრო ბერძნიშვილის გაუჩინარების საქმეების გარდა, კიდევ რამდენიმე დანაშაულში ფიგურირებს.

9 წლის წინ მომხდარი თავდასხმების დეტალებზე დაზარალებულებმა პირველად „კურიერთან“ ისაუბრეს და დეტალები გაიხსენეს.

ერთ-ერთი გოგონას თქმით, როდესაც 12 წლის იყო, იაგო ნებიერიძე მას თავს სადარბაზოში დაესხა, სცემა და მობილური ტელეფონი წაართვა. 12 წლის მოზარდის მამა ბავშვის ყვირილზე სახლიდან გამოვიდა, თუმცა დამნაშავემ ადგილიდან მიმალვა შეძლო, იაგო ნებიერიძის დაკავება პოლიციამ იმ დღესვე ვერ მოახერხა.

მომხდარიდან ორ დღეში ნებიერიძემ სხვა დანაშაულიც ჩაიდინა. ის ახალგაზრდა ქალს დაესხა თავს, მას თავში ჩაარტყა და ჩანთის გატაცება შეძლო. ნებიერიძე პოლიციამ 3 დღეში დააკავა, სასამართლომ კი ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებულად ცნო და ორივე დანაშაულში 17-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ამ ორი დანაშაულში ბრალდებულ ნებიერიძეს სასჯელი ციხეში საკანში აკრძალული ნივთის ფლობის გამო დაუმძიმდა. დაზარალებულებისთვის დღემდე გაურკვეველია, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რისი გათვალისწინებით შეუმცირეს და შემდეგ საერთოდ გაათავისუფლეს ნებიერიძე.

„კურიერის“ ინფორმაციით, იაგო ნებიერიძის ინტერესებს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი იცავდა და ნებიერიძისთვის სასჯელის შემსუბუქება 2012 წელს ნანა კაკაბაძის დახმარებით მოხერხდა.

კაკაბაძე დღეს ამტკიცებს, რომ ნებიერიძის საქმე საერთოდ არ ახსოვს.

# იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ქვემო ქართლში 3 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 3 პირი – საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეები დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ა.მ., 1959 წელს დაბადებული, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ნ.ვ. და 1988 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.ჩ. ქვემო ქართლში სხვადასხვა ქალაქში დააკავეს.

პოლიციამ ა.მ.-ს პირადი ჩხრეკისას, კოროვინის კონსტრუქციის პისტოლეტი და 19 ვაზნა ამოიღეს. ნ.ვ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „გოლდ სტარის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, ს.ჩ.-სგან კი – ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 33 ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# ქუთაისში ახალგაზრდა ქალი მე-7 სართულიდან გადმოვარდა და დაიღუპა

ქუთაისში ახალგაზრდა ქალი მეშვიდე სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. შემთხვევა 24 ნოემბერს ნიკეას დასახლებაში მოხდა.




შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

წინასწარი ინფორმაციით, მომხდარს წინ ოჯახური კონფლიქტი უძღოდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# კისისხევში ოპელმა ქვეითი გაიტანა და მოკლა



თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. „ოპელის“ მარკის ავტომობილი ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, ექიმის თქმით, მიყენებული დაზიანებები სიცოცხლესთან შეუთავსებელი იყო. დაშავებული თელავის რეფერალურ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# „ნაციონალი ხარო და დამარტყეს“

## ოპოზიციის მხარდამჭერი პოლიციას ცემაში ადანაშაულებს



ზუგდიდელი 50 წლის კახა კვარაცხელია ფიზიკურ ანგარიშსწორებაში პოლიციას ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მას ფიზიკურად იმის გამო გაუსწორდნენ, რომ გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერია.

დაზარალებულის თქმით, ის ღამით მარნეულში გადაადგილდებოდა, როდესაც პოლიციელებმა გააჩერეს და პირადობის მოწმობის წარდგენა მოსთხოვეს, შემდეგ კი მისი პოლიტიკური სიმპათიებითაც დაინტერესდნენ,

მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა გაიგეს, რომ ის გრიგოლ ვაშაძეს უჭერდა მხარს, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

კვარაცხელიას ბრალდებას შინაგან საქმეთა სამინისტროში უარყოფენ. როგორც უწყებაში აცხადებენ, ფაქტზე დაწყებულია მოკვლევა.

24 ნოემბერს საქართველოს პროკურატურამ მარნეულში მომხდარზე ინფორმაცია გამოაქვეყნა და ვიდეომასალა გაასაჯაროვა.

„პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა გივი ქველაძემ, საჯარო სივრცეში განცხადებით ბრალი დასდო მარნეულის შს რაიონული სამმართველოს პოლიციის თანამშრომლებს ძალადობის განხორციელებაში. კერძოდ განაცხადა, რომ 2018 წლის 23 ნოემბერს, პოლიციელებმა პოლიტიკური ნიშნით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კახა კვარაცხელიას.

პროკურატურამ ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე დაიწყო გამოძიება და დაუკავშირდა გივი ქველაძეს, რომელმაც გადატვირთული გრაფიკის გამო, უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. გამოძიებამ გამოკითხა კვარაცხელიას მკურნალი ექიმი, რომელმაც განმარტა, რომ საავადმყოფოში შეყვანილ კვარაცხელიას სხეულზე რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა.

გამოძიებამ ასევე შემთხვევის ადგილიდან ამოიღო ვიდეოჩანაწერები, რომელთა დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ გივი ქველაძის საჯარო განცხადებები არ დასტურდება და კახა კვარაცხელიას მიმართ რაიმე სახის ფიზიკურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება უშუალოდ კახა კვარაცხელიას, მასთან დაკავშირება და შესაბამისად გასაუბრება ამ დროისთვის ვერ ხერხდება, ხოლო თავად გივი ქველაძე აცხადებს, რომ იგი კვარაცხელიას არ იცნობს და მისი ადგილსამყოფელის შესახებ არ აქვს ინფორმაცია“, – აღნიშნულია საქართველოს პროკურატურის ინფორმაციაში.

# ათამდე ბინის გაქურდვის ბრალდებით შსს-მ ერთი პირი დააკავა




შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ა.გ. ქურდობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ვარკეთილსა და ვაზისუბნის დასახლებაში ათამდე საცხოვრებელი ბინა გაქურდა. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ქურდობის ფაქტებზე მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

# მელიქიშვილზე კორპუსის მშენებლობიდან 30 წლის მამაკაცი გადმოვარდა

## მისი მდგომარეობა მძიმეა



24 ნოემბერს მელიქიშვილის გამზირზე კორპუსის მშენებლობიდან 30 წლამდე ასაკის მამაკაცი გადმოვარდა.

მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში განუცხადეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო-სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**☎ 230 62 52; 599 16 10 82**

## კალეიდოსკოპი

### პისტოლეტმა ტყვია გააჩერა და პოლიციელი გადაარჩინა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოში პისტოლეტმა პოლიციელი მისთვის ნასროლი ტყვიისგან გადაარჩინა.



ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. პოლიციელები გამოძახებაზე გავიდნენ. შეტყობინებაში ნათქვამი იყო, რომ ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში სროლა იყო. 32 წლის მამაკაცს ექიმის მოკვლა სურდა, რომელიც მისი ყოფილი შეყვარებული იყო და რომელმაც მასთან ურთიერთობა გაწყვიტა. ინციდენტის დროს საავადმყოფოს ორი თანამშრომელი დაიღუპა, მათ შორის ის გოგონა და პოლიციელი. თავად თავდამსხმელი ლიკვიდირებულ იქნა.

თუმცა მსხვერპლი შეიძლება უფრო მეტის აღმოჩენილიყო, თავდამსხმელის მიერ ნასროლი ტყვია პოლიციელის პისტოლეტს, რომ არ მოხვედრილიყო და მასში არ გაჭედილიყო. მისი წყალობით სამართალდამცავი მხოლოდ მცირე დაჟეჟილობით გადარჩა.

### ჩინეთში ყველაზე მაღალი გოგონა აღმოაჩინეს



ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე მაღალი 11 წლის გოგონა აღმოაჩინეს, რომლის სიმაღლე 208 სანტიმეტრს შეადგენს.

მოზარდი, სახელად ჩჟან ცზიუი, შანდუნის პროვინციის ქალაქ ცზინანში ცხოვრობს. ის მეექვსე კლასში სწავლობს და პროფესიონალ კალათბურთელობაზე ოცნებობს. სპორტი მას დედამ შეაყვარა, რომელიც ადრე ქვეყნის ნაკრების მოთამაშე იყო, ამჟამად კი ადგილობრივ გუნდს ავარჯიშებს. მიუხედავად იმისა, რომ გოგონა ბევრ დროს უთმობს ვარჯიშებს, კარგად სწავლობს და ასევე მუსიკასა და ცეკვებში მეცადინეობს.

ჩჟანის დედისა და მამის სიმაღლე 180 სანტიმეტრს შეადგენს, რაც ჩინელებისთვის უჩვეულოა. მათ არ გაჰკვირვებიათ, როდესაც ექვსი წლის ასაკში მათი გოგონას სიმაღლემ 160 სანტიმეტრს მიაღწია.

გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით ყველაზე მაღალ გოგონად ინგლისის ქალაქ საუთჰემპტონის მკვიდრი 12 წლის სოფი ჰოლინსი ითვლება, თუმცა მისი სიმაღლე სულ რაღაც 188 სანტიმეტრია. უცნობია, აპირებს თუ არა ჩინელი გოგონას ოჯახი შვილის ახალ რეკორდსმენად დარეგისტრირებას.

### სკანდალის შემდეგ „პორნოდათვები" ერთმანეთს დააშორეს

დიდი ბრიტანეთის კუნძულ მენზე მდებარე სავაჭრო ცენტრმა ბოდიში მოიხადა შეუფერებელი საშობაო კომპოზიციის გამო, რომელიც შესასვლელში იყო აღმართული.



მომხმარებლები თეთრი დათვების უზარმაზარმა ფიგურებმა გააოგნა, რომლებიც შენობის შესასვლელთან, კვარცხლბეკზე იყო აღმართული. მათი განლაგება და პოზა იმას მიანიშნებდა, რომ ისინი სექსით იყვნენ დაკავებული. კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებს ასევე წარმოადგენდა პატარა ბელები და ხელოვნური ნაძვის ხეები, ხოლო ოდნავ მოშორებით ამ ყოველივეს ინტერესით თვალს ადევნებდა სათამაშო მურა დათვი.

მომხმარებლებმა სავაჭრო ცენტრის გვერდი სოციალურ ქსელში კომენტარებით აავსეს. მათი უმრავლესობა დათვების ფიგურებმა იმდენად არ აღაშფოთა, რამდენადაც გააოგნა და გაამხიარულა.

– ეს არის საუკეთესო საშობაო კომპოზიცია, რომელიც კი ოდესმე მინახავს! – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა მომხმარებელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# შეტაკებები პარიზში

## მოძრაობა „ყვითელი ჟილეტები" საწვავზე ფასების მატებას აპროტესტებს



გასულ კვირაში საფრანგეთის მასშტაბით საწვავის ფასის ზრდასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციები დაიწყო. საპროტესტო მოძრაობა „ყვითელი ჟილეტები" სოციალურ ქსელებში შეიქმნა.

საფრანგეთში 1 წლის განმავლობაში ბენზინის ფასი 10-15%-ით გაიზარდა, დიზელი კი – 24%-ით. 1 ლიტრი საწვავის ფასი 1,6-1,7 ევროს აღემატება.

„ყვითელი ჟილეტების" მოძრაობა საფრანგეთის მთავრობისგან ასევე მოითხოვს საწვავზე გადასახადების შემცირებას.

პარიზში ქუჩაში 8.000 ადამიანი გამოვიდა. გამოსვლები სხვა ქალაქებსაც მოედო. სულ საპროტესტო აქციებში 106.000 ადამიანი მონაწილეობდა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრ კრისტოფერ კასტანერის აზრით, მემარჯვენე და მემარცხენე ექსტრემისტებმა ცადეს, შექმნილი სიტუაცია საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ დესტრუქციულ როლს, რომელიც საპროტესტო გამოსვლებისას ულტრამემარჯვენე ნაციონალურმა ფრონტმა ითამაშა. მისი ლიდერი მარინ ლე პენი პუტინის თავგამოდებული მომხრეა. ის რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას, ყირიმის რუსეთის ნაწილად გამოცხადებას, აგრეთვე დონბასის, დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის" აღიარებას მოითხოვს.

– ნაციონალური ფრონტის აქტივისტებმა მოუწოდეს მანიფესტანტებს, ელისეს სასახლისაკენ გაჭრილიყვნენ, – თქვა კასტანერმა.

პოლიციამ მანიფესტანტებს ამისი საშუალება არ მისცა. მოხდა შეტაკება. პოლიციამ წყლის ჭავლი და რეზინის ხელჯოხები გამოიყენა. დემონსტრანტები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ.

დაკავებულია 130 ადამიანი, მათგან 70-მდე – პარიზში. დაშავდა 24 ადამიანი, რომელთაგან 5 პოლიციელია.

ქვეყნის პრეზიდენტმა ემანუილ მაკრონმა პოლიციას ადეკვატური რეაქციისთვის მადლობა გადაუხადა.

# პოროშენკო: „რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებელია გოლოდომორზე!"



კიევში გოლოდომორის მსხვერპლნი გაიხსენეს.

პრეზიდენტმა პოროშენკომ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ გოლოდომორი წინასწარ დაგეგმილ აქციას წარმოადგენდა. ეს იყო რუსეთის ფედერაციის მცდელობა, საბოლოოდ დაემორჩილებინა უკრაინა.

– საბჭოთა კავშირი მეფის რუსეთის მემკვიდრე სახელმწიფოს წარმოადგენდა და ცარიზმის შოვინისტურ პოლიტიკას განაგრძობდა. დღევანდელი რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეა და გოლოდომორზე პასუხს აგებს, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთში ახლაც არსებობს უკრაინის დამორჩილების გიჟური გეგმა, ამიტომაც რუსეთმა განახორციელა ყირიმის ანექსია და გააჩაღა ომი დონბასში.

– ისტორიის ჩარხის შემობრუნება შეუძლებელია! მოსკოვი ვერაფერს გახდება! უკრაინა გაიმარჯვებს! – ამბობს პოროშენკო.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გოლოდომორის მსხვერპლთ პატივი მიაგო. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გოლოდომორი უნდა მოიხსენიონ მეოცე საუკუნის უსაზარლეს დანაშაულებს შორის.

– სტალინის რეჟიმი უკრაინელთა დამორჩილებას ცდილობდა. გოლოდომორიც ამ მიზნით მოაწყვეს. ამერიკა უკრაინელ ხალხთან არის! ჩვენ უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ვუჭერთ! – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

# ევროკავშირის სამიტზე „ბრექსითის" შესახებ შეთანხმება დამტკიცდა



ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურთა რიგგარეშე სამიტზე დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შესახებ შეთანხმება დაამტკიცეს.

ამის შესახებ „ტვიტერის" პირად გვერდზე ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა დაწერა.

„ევროკავშირის 27 წევრმა ქვეყანამ დაამტკიცა შეთანხმება და პოლიტიკური დეკლარაცია ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მომავალი ურთიერთობის შესახებ", – წერს ტუსკი.

სამიტზე, რომელიც საათზე ნაკლებ დროს გაგრძელდა, ორი მთავარი დოკუმენტი მიიღეს.

ევროკავშირის ლიდერების სამიტის შემდეგ „ბრექსითის" შესახებ გადაწყვეტილება ევროპარლამენტმა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა უნდა დაამტკიცონ.

# როუჰანი: „ამერიკა ჩვენი უმთავრესი მტერია"



თეირანში ისლამური ერთიანობის კონფერენცია ჩატარდა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ირანის პრეზიდენტი როუჰანი.

მან უმთავრეს მტრად აშშ გამოაცხადა და ყველა ისლამურ სახელმწიფოს ვაშინგტონის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდა:

– მოვუწოდებ ყველა მუსლიმანურ ქვეყანას, მათ შორის საუდის არაბეთსაც, ამერიკის წინააღმდეგ გავერთიანდეთ! – თქვა როუჰანიმ.

ამის შემდეგ პრეზიდენტი ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო.

მან განაცხადა, რომ ამერიკას მთელი ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა სურს და ამ საქმეში მას ეხმარება ისრაელი.

– ირანი მზადაა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ანტიამერიკულ, ანტიისრაელურ კოალიციას სათავეში ჩაუდგეს, – აცხადებს როუჰანი.

# ტაივანი „ცისფერების" წინააღმდეგ



2017 წელს ტაივანი აზიის პირველი სახელმწიფო გახდა, სადაც სასამართლომ ერთქესიანთა ქორწინება დააკანონა.

ამან მასობრივი პროტესტები გამოიწვია. ხელისუფლება იძულებული გახდა, რეფერენდუმი ჩაეტარებინა. მოსახლეობის 70%-ზე მეტმა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას უარი უთხრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

### სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბენფიკასთან ბაიერნის მწვრთნელი ისევ კოვაჩი იქნება



მიუნხენის ბაიერნმა შინაურ არენაზე დიუსელდორფის ფორტუნას უმასპინძლა. მატჩი უხვგოლიანი აღმოჩნდა და ტურის მთავარ სენსაციადაც იქცა. საფინალო სასტვენის შემდეგ ტაბლოზე ანგარიში 3:3 იყო აღნიშნული.

არადა, ბაიერნი 77-ე წუთამდე 2-ბურთიან უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში მისი შენარჩუნება ვერ მოახერხეს. შედეგად, „ალიანც არენაზე" მიუნხენელთა მოუგებელი სერია ჩემპიონატში 4 მატჩამდე გაგრძელდა, რაც 1966 და 1994 წლებში დამყარებული ანტირეკორდების გამეორებაა.

ნიკო კოვაჩი: ვფიქრობ, კარგად აცნობიერებთ იმას, თუ რას განვიცდი ახლა. ძალიან გაბრაზებული ვარ. ანგარიში რამდენჯერმე მიგვყავდა, ვაკონტროლებდით მატჩის მსვლელობასაც. უბრალოდ, ვერ ვიგებ, როგორ ვერ გამოვიყენეთ ის მომენტები, რაც გვქონდა. კიდევ უფრო საშინელია იმაზე ფიქრი, თუ როგორ ვიცავდით თავს გაშვებული გოლების შემდეგ. ასეთი შეცდომების მერე ნებისმიერი დონის გუნდი დაგსჯის.

**თომას მიულერი:**

– უკვე 4 მატჩია, რაც სახლში გამარჯვებას ვერ ვახერხებთ. თავადვე ვართ დამნაშავეები იმაში, რომ ტრიბუნებიდან გვისტვენდნენ. უნდა გავუგოთ გულშემატკივრებს. მიმდინარე შეხვედრაში, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო გეფიქრა, რომ ეს მატჩი ფრედ დასრულდებოდა. როდესაც ფორტუნასგან 3 გოლს უშვებ, პირველ რიგში მიზეზები საკუთარ თავში უნდა ეძიო. მიჭირს იმის დაჯერება, რომ ისევ ბოლო წუთებში გავუშვით გოლი. ძალიან მარტივად ვაზროვნებთ, ასეთი შედეგის შემდეგ არ გვაქვს უფლება, ვისაუბროთ ჩემპიონობაზე. გვსურდა მოგება, 3 ქულის აღება და ნაბიჯის წინ გადადგმა.

მიუნხენელებმა 12 ტურის შემდეგ 21 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილს იკავებენ, ლიდერ დორტმუნდს კი 9 ქულით ჩამორჩებიან. მომდევნო ტურში, ბავარიელები სტუმრად ვერდერს ეთამაშებიან, მანამდე კი, 27 ნოემბერს, საკუთარ მოედანზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მე-5 ტურის შეხვედრაში ბენფიკას უმასპინძლებენ.

ფორტუნასთან თამაშით იმედგაცრუებული დარჩა ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესიც, თუმცა, მისი თქმით, ჯერჯერობით გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან ნიკო კოვაჩის გაშვება არ იგეგმება:

– ბენფიკასთან მატჩში მწვრთნელი კოვაჩი იქნება. სიტუაციის ანალიზს ამის შემდეგ გავაკეთებთ. ამ დროისთვის კი კოვაჩის გათავისუფლების საკითხი არ დგას, ოღონდ – ამ დროისთვის. მაგრამ ის, რაც დღეს მოხდა, უბრალოდ, მიუღებელია.

# სუპერლიგაში მოუგებელი მხოლოდ რუსთავია

**მგზავრები-დინამო 65:68**
**(21:18, 10:17, 11:16, 23:17)**

მატჩი საკმაოდ საინტერესო, დაძაბული გამოვიდა და დინამოელთა 3-ქულიანი გამარჯვებით – 68:65 დასრულდა. ეს გახლდათ დინამოს პირველი გამარჯვება მიმდინარე სუპერლიგაში. წინა 2 ტურის მატჩები ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ტიტებთან და ქუთაისთან წააგეს.

რაც შეეხება მგზავრებს, ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ გუნდს აქტივში თითო მოგებ-წაგება ჰქონდა. შესაბამისად, ამ მატჩს ორივე გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და დათმობას არც ერთი აპირებდა. მატჩიც თანაბარი გამოდგა, რომლის მსვლელობისას ვერც ერთი გუნდი ეუფლებოდა ხელჩასაჭიდ უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ დინამოელები უმეტესწილად ლიდერობდნენ, თუმცა მგზავრები მეტოქეს შორს არ უშვებდა და ხან გაუთანაბრდებოდა, ხანაც გადაუსწრებდა.



პირველი მეოთხედი მგზავრების სასარგებლოდ დასრულდა – 21:18. დინამოელებმა მეორე პერიოდში თამაში დაალაგეს და შეტევებიც გამოასწორეს, შედეგად ათწუთეული 17:10 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მე-3 პერიოდში დინამომ ტემპს უმატა, რაც ანგარიშზეც აისახა. ბოლო პერიოდის წინ ხოშტარიას გუნდი 9 ქულას იგებდა, თუმცა მგზავრები არ დანებდა, ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა და ბოლო წუთებზე ყველაფერი ახლიდან დაიწყო.

გადამწყვეტ მომენტში, ბოლო წუთზე, დინამოელთა ხორვატმა ცენტრმა დემაგოი ბუბალომ მიყოლებით ჩააგდო 2 ორქულიანი, თავისი გუნდი 66:60 დააწინაურა და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. დინამოელებმა საბოლოოდ 68:65 იმარჯვეს და სუპერლიგის მიმდინარე სეზონში პირველი მოგება გაიფორმეს.

დინამოში 20 ქულით და 9 მოხსნით საუკეთესო იყო რეჯერ დოუელი. 18 ქულით გამოირჩა დემაგოი ბუბალო, მიხეილ ჭოჭუასა და ლევან გრძელიძის ანგარიშზე კი 10-10 ქულა დაგროვდა. მგზავრებში 23 ქულით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი, ხოლო კახა ჯინჭარაძემ და რეზო ჩაჩანიძემ 10-10 ქულა მოაგროვეს.

**რუსთავი-თსუ-ჰიუნდაი 77:96**
**(19:28, 12:23, 22:23, 24:22)**

ერთადერთი გუნდი, რომელსაც 3 ტურის შემდეგ სუპერლიგაში მოგება არ გააჩნია, რუსთავია. ქვემოქართლურმა გუნდმა თსუ-ჰიუნდაის უმასპინძლა და ისე წააგო, წარმატების შანსი არ ჰქონია.

რუსთაველებს აკლდათ ლევან ხმელიძე, ხოლო რუდოლფ ჯოლი და ბესო გუგავა ტრავმების შემდეგ ფორმაში არ იყვნენ. შესაბამისად, მასპინძლებმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს გამართულად და შედეგიანად მოთამაშე თსუ-ჰიუნდაელებს. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა თავიდანვე რომ მოიპოვა სოლიდური უპირატესობა, თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია.

თბილისელები გუნდურად და სწრაფად თამაშობდნენ. სამწამიან ზონაში გიორგი კორსანტიას ბადალი არ ჰყავდა, პერიმეტრიდან კი ჯეიმზ მილიკანი და სანდრო სანაძე გამოირჩეოდნენ. ეს უკანასკნელი ზუსტი შორ სროლებთან ერთად სწრაფ გარღვევებსაც ახორციელებდა და საბოლოოდ 19 ქულით კორსანტიასთან ერთად მატჩის ბომბარდირი გახდა.

შეხვედრა ისე ჩამთავრდა, არც დაძაბულა და მწვრთნელებმა მოედანზე ახალგაზრდა, სათადარიგო მოთამაშეებს უხმეს. საბოლოოდ თსუ-ჰიუნდაიმ 96:77 იმარჯვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 3 | 3 | 0 | 240:218 | 6 |
| 2.ოლიმპი | 3 | 2 | 1 | 267:231 | 5 |
| 3.ბათუმი | 3 | 2 | 1 | 245:255 | 5 |
| 4.დელტა | 3 | 2 | 1 | 243:221 | 5 |
| 5.თსუ ჰიუნდაი | 3 | 2 | 1 | 248:234 | 5 |
| 6.დინამო | 3 | 1 | 2 | 196:217 | 4 |
| 7.ტიტები | 3 | 1 | 2 | 220:234 | 4 |
| 8.მგზავრები | 3 | 1 | 2 | 223:221 | 4 |
| 9.კაკტუსი | 3 | 1 | 2 | 224:246 | 4 |
| 10.რუსთავი | 3 | 0 | 3 | 226:255 | 3 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რივერი-ბოკა — ომი ფინალის ნაცვლად

ბუენოს აირესში ლიბერტადორესის თასის ფინალში 2 არგენტინული გრანდი – რივერ პლეიტი და ბოკა ხუნიორსი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, თუმცა მატჩი გულშემატკივრის მიერ სტუმართა ავტობუსზე თავდასხმის გამო გადაიდო.

ლიბერტადორესის თასის ფინალში 2 არგენტინული გუნდი პირველად გავიდა, თანაც რა გუნდები – რივერი და ბოკა ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებული და ეს დადასტურდა კიდეც.

ინციდენტისას ბოკა ხუნიორსის რამდენიმე ფეხბურთელი დაზიანდა, მათ შორის კარლოს ტევესი, პაბლო პერესი და ფერნანდო გაგო, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელობა მატჩის გადადებას ითხოვდა, თუმცა უარზე იყო კონმებოლი (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია) და კლუბებს შეხვედრის გამართვისკენ მოუწოდებდა.

მატჩში ჯერ ერთი საათით გადაიდო, შემდეგ სხვა დრო ჩაინიშნა, მაგრამ თამაში ფეხბურთელთა დაზიანებისა და გადაღლილობის გამო მაინც არ გაიმართა.

ბოკას ხუნიორსის ფეხბურთელებმა „მონუმენტალის" (რივერის სტადიონი) დატოვებისას მედიასთან კომენტარი გააკეთეს.



რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლა გუნდის ლიდერი დარიო ბენედეტო – მიეცით თასი რივერ პლეიტს.

მედიასთან ვრცელი კომენტარი გააკეთა კარლოს ტევესმა, მანამდე კი რივერ პლეიტის პრეზიდენტმა როდოლფო დონოფრიომ განაცხადა, რომ ასეთ სიტუაციაში მატჩის ჩატარების წინააღმდეგი იყო.

**კარლოს ტევესი:**

– წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი რომ ბოკას გულშემატკივრებს გაეკეთებინათ, ახლა გუნდი გათამაშებიდან უკვე მოხსნილი იქნებოდა. 2015 წლის შემთხვევა გახსოვთ? მაშინ ბოკა ხუნიორსის გულშემატკივრებმა რივერ პლეიტის ფეხბურთელები წიწაკის სპრეით მოწამლეს და ბოკა გათამაშებიდან მოხსნეს. რივერი კი ჩემპიონი გახდა. კონმებოლი საშინლად და სამარცხვინოდ მოიქცა. თუ სურთ, ისევ მე შემომიტიონ. 2 ფეხბურთელი საავადმყოფოში გვყავდა, რამდენიმე ცუდად იყო, ისინი კი თამაშს გვაიძულებდნენ. ისინი რივერ პლეიტის სიმღერას მღერიან. აკეთებენ იმას, რაც მათ სურთ. მარსელო გალიარდო ინტელიგენტი კაცია. მან გვითხრა, რომ ჩვენ გვერდით დგას, მაგრამ ჩვენ იმ ჯოჯოხეთურ გასახდელში 7 საათს ვიყავით. გადასცენ თასი რივერ პლეიტს.

**მედიასთან დაზარალებულმა პაბლო პერესმაც ისაუბრა:**

– ძალიან გაბრაზებული ვარ, ჩვენ ომში ჩავერთეთ. ექიმმა მითხრა, რომ რამდენიმე ადგილას ნამსხვრევები მქონდა. კარგია, რომ გადავრჩით.

# შედეგები

## 24 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ლესტერი ........ 1:1
ვესტ ჰემი-სიტი ........ 0:4
მანჩესტერი-კრ.პალასი ........ 0:0
უოტფორდი-ლივერპული ........ 0:3
ფულემი-საუთჰემპტონი ........ 3:2
ევერტონი-კარდიფი ........ 1:0
ტოტენჰემი-ჩელსი ........ 3:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

როტერჰემი-შეფილდი ........ 2:2
ლიდსი-ბრისტოლი ........ 2:0
მილუოლი-ბოლტონი ........ 1:1
პრესტონი-ბლექბერნი ........ 4:1
სტოკი-ქპრ ........ 2:2
სუონსი-ნორვიჩი ........ 1:4
უიგანი-რედინგი ........ 0:0
ჰალი-ნოტინგემი ........ 0:2
უენსდი-დერბი ........ 1:2
ბრენტფორდი-მიდლსბრო ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 13 | 11 | 2 | 0 | 40:5 | 35 |
| 2.ლივერპული | 13 | 10 | 3 | 0 | 26:5 | 33 |
| 3.ტოტენჰემი | 13 | 10 | 0 | 3 | 23:11 | 30 |
| 4.ჩელსი | 13 | 8 | 4 | 1 | 28:11 | 28 |
| 5.არსენალი | 12 | 7 | 3 | 2 | 26:15 | 24 |
| 6.ევერტონი | 13 | 6 | 4 | 3 | 20:15 | 22 |
| 7.მანჩესტერი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:21 | 21 |
| 8.ბორნმუთი | 12 | 6 | 2 | 4 | 21:16 | 20 |
| 9.უოტფორდი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:17 | 20 |
| 10.ლესტერი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:17 | 18 |
| 11.ვულვზი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:13 | 16 |
| 12.ბრაიტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:19 | 15 |
| 13.ვესტ ჰემი | 13 | 3 | 3 | 7 | 14:22 | 12 |
| 14.ნიუკასლი | 12 | 2 | 3 | 7 | 9:15 | 9 |
| 15.კრ.პალასი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:17 | 9 |
| 16.ბარნლი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:25 | 9 |
| 17.საუთჰემპტონი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:24 | 8 |
| 18.კარდიფი | 13 | 2 | 2 | 9 | 11:26 | 8 |
| 19.ფულემი | 13 | 2 | 2 | 9 | 14:33 | 8 |
| 20.ჰადერსფილდი | 12 | 1 | 4 | 7 | 6:22 | 7 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-რეალი ........ 3:0
ვალენსია-რაიო ........ 3:0
უესკა-ლევანტე ........ 2:2
ატლეტიკო-ბარსელონა ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 7 | 4 | 2 | 35:19 | 25 |
| 2.ატლეტიკო | 13 | 6 | 6 | 1 | 17:9 | 24 |
| 3.სევილია | 12 | 7 | 2 | 3 | 24:14 | 23 |
| 4.ალავესი | 13 | 7 | 2 | 4 | 17:13 | 23 |
| 5.ესპანიოლი | 12 | 6 | 3 | 3 | 16:10 | 21 |
| 6.რეალი | 13 | 6 | 2 | 5 | 20:19 | 20 |
| 7.ლევანტე | 13 | 5 | 3 | 5 | 20:21 | 18 |
| 8.ეიბარი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:18 | 18 |
| 9.ვალენსია | 13 | 3 | 8 | 2 | 11:9 | 17 |
| 10.ვალიადოლიდი | 12 | 4 | 5 | 3 | 9:9 | 17 |
| 11.ხირონა | 12 | 4 | 5 | 3 | 13:14 | 17 |
| 12.სოსიედადი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:14 | 16 |
| 13.ხეტაფე | 12 | 4 | 4 | 4 | 11:10 | 16 |
| 14.ბეტისი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:15 | 16 |
| 15.სელტა | 12 | 3 | 5 | 4 | 22:20 | 14 |
| 16.ლეგანესი | 13 | 3 | 4 | 6 | 10:16 | 13 |
| 17.ვილარეალი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:13 | 11 |
| 18.ბილბაო | 12 | 1 | 7 | 4 | 13:19 | 10 |
| 19.რაიო | 13 | 1 | 4 | 8 | 14:28 | 7 |
| 20.უესკა | 13 | 1 | 4 | 8 | 12:27 | 7 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-ალმერია ........ 2:2
დეპორტივო-ოსასუნა ........ 2:0
ლუგო-კორდობა ........ 2:1
კადისი-ლას პალმასი ........ 4:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-აინტრახტი ........ 1:3
ბაიერნი-ფორტუნა ........ 3:3
ვოლფსბურგი-ლაიპციგი ........ 1:0
ჰერტა-ჰოფენჰაიმი ........ 3:3
მაინცი-დორტმუნდი ........ 1:2
შალკე-ნიურნბერგი ........ 5:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 12 | 9 | 3 | 0 | 35:13 | 30 |
| 2.აინტრახტი | 12 | 7 | 2 | 3 | 29:14 | 23 |
| 3.გლადბახი | 11 | 7 | 2 | 2 | 26:13 | 23 |
| 4.ლაიპციგი | 12 | 6 | 4 | 2 | 22:10 | 22 |
| 5.ბაიერნი | 12 | 6 | 3 | 3 | 23:17 | 21 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 12 | 6 | 2 | 4 | 27:18 | 20 |
| 7.ვერდერი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:19 | 17 |
| 8.ჰერტა | 12 | 4 | 5 | 3 | 19:20 | 17 |
| 9.ვოლფსბურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:17 | 15 |
| 10.მაინცი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:14 | 15 |
| 11.ლევერკუზენი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:24 | 14 |
| 12.აუგსბურგი | 12 | 3 | 4 | 5 | 20:21 | 13 |
| 13.ფრაიბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 15:19 | 13 |
| 14.შალკე | 12 | 4 | 1 | 7 | 13:17 | 13 |
| 15.ნიურნბერგი | 12 | 2 | 4 | 6 | 13:29 | 10 |
| 16.ჰანოვერი | 11 | 2 | 3 | 6 | 14:22 | 9 |
| 17.ფორტუნა | 12 | 2 | 3 | 7 | 13:28 | 9 |
| 18.შტუტგარტი | 12 | 2 | 2 | 8 | 8:26 | 8 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-აუე ........ 2:1
დარმშტადი-კიოლნი ........ 0:3
კილი-ზანდჰაუზენი ........ 2:1

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-რომა ........ 1:0
იუვენტუსი-სპალი ........ 2:0
ინტერი-ფროზინონე ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 12 | 1 | 0 | 28:8 | 37 |
| 2.ინტერი | 13 | 9 | 1 | 3 | 25:10 | 28 |
| 3.ნაპოლი | 12 | 9 | 1 | 2 | 26:13 | 28 |
| 4.ლაციო | 12 | 7 | 1 | 4 | 18:14 | 22 |
| 5.მილანი | 12 | 6 | 3 | 3 | 21:16 | 21 |
| 6.რომა | 13 | 5 | 4 | 4 | 22:16 | 19 |
| 7.სასუოლო | 12 | 5 | 4 | 3 | 20:17 | 19 |
| 8.ატალანტა | 12 | 5 | 3 | 4 | 23:14 | 18 |
| 9.ფიორენტინა | 12 | 4 | 5 | 3 | 18:10 | 17 |
| 10.ტორინო | 12 | 4 | 5 | 3 | 17:15 | 17 |
| 11.პარმა | 12 | 5 | 2 | 5 | 12:15 | 17 |
| 12.სამპდორია | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| 13.კალიარი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | 14 |
| 14.ჯენოა | 12 | 4 | 2 | 6 | 17:26 | 14 |
| 15.სპალი | 13 | 4 | 1 | 8 | 11:21 | 13 |
| 16.უდინეზე | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | 12 |
| 17.ბოლონია | 12 | 2 | 4 | 6 | 11:18 | 10 |
| 18.ემპოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:21 | 9 |
| 19.ფროზინონე | 13 | 1 | 4 | 8 | 10:28 | 7 |
| 20.კიევო | 12 | 0 | 3 | 9 | 10:30 | 0 |

**შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-ბრეშა ........ 2:1
ლივორნო-ჩიტადელა ........ 0:0
პადოვა-კარპი ........ 0:1
ბენევენტო-პერუჯა ........ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ტულუზა ........ 1:0
დიჟონი-ბორდო ........ 0:0
კაენი-მონაკო ........ 0:1
ნანტი-ანჟე ........ 1:1
რეიმსი-გენგამი ........ 2:1
სტრასბური-ნიმი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 14 | 0 | 0 | 46:7 | 42 |
| 2.ლიონი | 14 | 8 | 3 | 3 | 24:16 | 27 |
| 3.ლილი | 13 | 8 | 2 | 3 | 21:10 | 26 |
| 4.მონპელიე | 13 | 7 | 4 | 2 | 20:8 | 25 |
| 5.სტ.ეტიენი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:18 | 23 |
| 6.მარსელი | 13 | 7 | 1 | 5 | 24:21 | 22 |
| 7.რეიმსი | 14 | 5 | 5 | 4 | 10:13 | 20 |
| 8.ნიცა | 13 | 6 | 2 | 5 | 10:14 | 20 |
| 9.სტრასბური | 14 | 4 | 6 | 4 | 20:17 | 18 |
| 10.ნანტი | 14 | 4 | 5 | 5 | 21:19 | 17 |
| 11.ნიმი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:20 | 17 |
| 12.ბორდო | 14 | 4 | 5 | 5 | 14:15 | 17 |
| 13.ანჟე | 14 | 4 | 4 | 6 | 18:20 | 16 |
| 14.რენი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | 16 |
| 15.ტულუზა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:22 | 14 |
| 16.ამიენი | 13 | 4 | 1 | 8 | 13:21 | 13 |
| 17.კაენი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:17 | 12 |
| 18.დიჟონი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:23 | 12 |
| 19.მონაკო | 14 | 2 | 4 | 8 | 13:22 | 10 |
| 20.გენგამი | 14 | 1 | 4 | 9 | 10:30 | 7 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-გრენობლი ........ 0:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ზვოლე-დენ ჰააგი ........ 2:3
ბრედა-აიაქსი ........ 0:3
პსვ-ჰერენვენი ........ 3:0
სიტარდი-ერაკლესი ........ 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-ენისეი ........ 1:2
ორენბურგი-უფა ........ 1:0
ანჟი-რუბინი ........ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-ციურიხი ........ 3:3
იანგ ბოიზი-ლუგანო ........ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-სელტიკი ........ 0:3
მოზერველი-აბერდინი ........ 3:0
რეინჯერსი-ლივინგსტონი ........ 3:0
სტ.ჯონსონი-კილმარნოკი ........ 0:0
სტ.მირენი-ჰართსი ........ 2:0
ჰიბერნიანი-დანდი ........ 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-აუსტრია ........ 1:2
ვოლფსბერი-მატერსბურგი ........ 2:2
ჰარტბერგი-ზალცბურგი ........ 0:4

**ბელგია. 1 დივიზიონი**

სტანდარდი-ეუპენი ........ 3:0
ბევერენი-მუსკრონი ........ 1:2
ოსტენდე-კორტრაიკი ........ 1:2
გენკი-სერკლი ........ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-აპოლონი ........ 5:1
ასტერასი-ლარისა ........ 2:0
პანეთოლიკოსი-აეკი ........ 2:1
პაოკი-ქსანთი ........ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ერზრუმი-ანთალია ........ 1:0
ალანია-ქაისერი ........ 5:0
ანკარაგიუჯიუ-ბეშიქთაში ........ 1:4

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

კორონა-გურნიკი ........ 4:2
ლეხი-პლოცკი ........ 2:1
კრაკოვია-სლასკი ........ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-დესნა ........ 0:2
მარიუპოლი-ვორსკლა ........ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-რანდერსი ........ 0:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-ოდ გრენლანდი ........ 1:0
ვალერრენგა-რანჰეიმი ........ 2:1
ლილესტრიომი-კრისტიანსუნდი ........ 2:0
რუსენბორგი-ბოდო გლიმდტი ........ 1:1
სანდერფიორდი-მიოლდე ........ 1:3
სტაბეკი-სტრომგოდსეტი ........ 2:2
ტრომსო-სარპსბორგი ........ 0:2
ჰაუგესუნდი-სტარტი ........ 3:1

## ავარიაში სკუტერით მოყოლილი ჩინელი უვნებლად გადარჩა



ჩინეთის ცზიანსის პროვინციის ქალაქ შანჟაოში სკუტერის მძღოლი ავარიაში მოყვა და რამდენიმე წამის განმავლობაში ორჯერ გადაურჩა სიკვდილს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

გზაჯვარედინზე გავლისას მამაკაცი საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ ლურჯი ფერის სატვირთო მანქანას დაეჯახა. შეჯახების შედეგად ისიც და მისი სკუტერიც ასფალტზე აღმოჩნდნენ, მანქანამ ამ დროს მკვეთრად მარცხნივ გაუხვია და მათ გვერდი აუქცია, თუმცა ამ დროს მან გზა გადაუჭრა წითელი ფერის სატვირთო მანქანას, რომელიც შემხვედრ ზოლში მოძრაობდა. მეორე სატვირთოს მძღოლმა საჭე გვერდით აიღო და ძირს დაგდებულ სკუტერს დაეჯახა, ხოლო მისი მძღოლი გვერდით მოისროლა.

ამან მამაკაცი გადაარჩინა, ვინაიდან ერთ წამში წითელმა სატვირთომ მის თავთან სულ რამდენიმე სანტიმეტრში ჩაიარა.

სკუტერის მძღოლი აცხადებს, რომ მას მართვის დროს ყურსაცმები ეკეთა და მუსიკას უსმენდა. მან ლურჯი სატვირთო იმ დროს შენიშნა, როდესაც ყურიდან გამოვარდნილ ყურსაცმს ისწორებდა, საჭეს კი ცალი ხელით მართავდა. სწორედ ამიტომ ვერ შეძლო მან შეჯახების თავიდან აცილება.

## თავში დანაგაყრილმა ველოსიპედისტმა თავდამსხმელი მოიგერია



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ კეიპტაუნში მცხოვრებმა შონ უეინმა თავდამსხმელების მოგერიება და საავადმყოფოში თავში დანაჩარჭობილმა საკუთარი ფეხით მისვლა შეძლო.

მამაკაცი დილით სამსახურში საკუთარ სუში-რესტორანში ველოსიპედით მიდიოდა, როდესაც მას თავს ორი ბოროტმოქმედი დაესხა. ერთ-ერთმა 34 წლის უეინს თავში დანა გაუყარა და 15-სანტიმეტრიანი დანის პირი თავის ქალაში გაიჭედა. დამნაშავეები მისთვის ველოსიპედის წართმევას შეეცადნენ, მაგრამ მან თავის დაცვა მოახერხა, თავდამსხმელებს სცემა და გაყარა.

უეინმა სხვის დაუხმარებლად მოახერხა პოლიკლინიკამდე მისვლა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში მდებარეობს. თავიდან დანაამოჩრილი და დასისხლიანებული მამაკაცი მისაღებში შევიდა და იკითხა: „თავისუფალი ექიმი გყავთ?“

— იმის თქმა, რომ ის შთამბეჭდავად გამოიყურებოდა თავიდან ამოჩრილი დანის ტარით, იმას ნიშნავს, რომ არაფერი თქვათ, ის მეტად მშვიდად გამოიყურებოდა და ზრდილობიანად იკითხა, მის მიღებას ვინმე შეძლებდა თუ არა, — განაცხადა პოლიკლინიკის თანამშრომელმა ბრენდან ვენტერმა. მისი თქმით, ერთ-ერთმა ექიმმა უეინის საავადმყოფოში საკუთარი მანქანით გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო, რათა სასწრაფო დახმარების მანქანის ლოდინში დრო არ დაეკარგათ. მამაკაცმა პოლიკლინიკის თანამშრომლებს სთხოვა, მისი ველოსიპედისთვის ყურადღება მიექციათ.

ექიმების თქმით, მამაკაცს ძალიან გაუმართლა, რომ დანის პირი დარტყმის დროს გაიღუნა და თავის ქალაში ჩავიდა სახის მხარეს და არა ტვინის. უეინს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

## „მის სამყაროს“ ეროვნულმა კოსტიუმმა თაყვანისმცემლები გააოგნა



სილამაზის კონკურსის „მის სამყაროს“ იაპონელმა წარმომადგენელმა იუმი კატომ ეროვნული კოსტიუმი წარმოადგინა. ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე მან განათავსა საკუთარი სურათი სეილორ მუნის სახით — ამავე სახელწოდების ანიმაციური ფილმის მთავარი გმირი.

კატო, რომელიც მოდელად და მსახიობად მუშაობს, ოთხ ენას ფლობს: იაპონურს, ჩინურს, ინგლისურსა და მალაიურს. 22 წლის იაპონელი მიიჩნევს, რომ მისი კოსტიუმი „ახალ იაპონურ კულტურას“ წარმოადგენს. ის პოდიუმზე გამოსვლას ნინძას კოსტიუმში გამოწყობილი აპირებს და დეფილეს შემდეგ ის მოსასხამს მოიშორებს და საზოგადოების წინაშე სეილორ მუნის კოსტიუმით წარდგება. გოგონას თქმით, ის მოუთმენლად ელის კონკურსის ფინალურ ეტაპს.

კონკურსის „მის სამყაროს“ ფინალი მიმდინარე წლის 17 დეკემბერს ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიმართება.

## ქალმა იშვიათი დაავადების გამო მთელი ცხოვრება სიბნელეში გაატარა



აშშ-ის მცხოვრებმა ფატიმა პერესმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს იმ იშვიათი დაავადებით, რომლის გამო მზის სინათლეს ვერ იტანს.

პერესი დომინიკანის რესპუბლიკაში დაიბადა. მისი კანი ყოველთვის დამწვრობით იყო დაფარული, 20 წლის ასაკისთვის მან თითქმის მთლიანად დაკარგა მხედველობა და თმები. მას პიგმენტური ქსეროდერმა დაუდგინეს — დაავადება, რომლის დროსაც კანის უჯრედები მათზე ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედების შემდეგ თავის აღდგენას ვერ ახერხებენ. მისი ძმა ამავე დაავადებისგან ცხრა წლის ასაკში გარდაიცვალა.

— ექიმებმა ჩემს მშობლებს ჩემი დიაგნოზი დაუსახელეს, მაგრამ არ უთხრეს, რომ მზეს ჩემი მოკვლა შეუძლია, — განაცხადა პერესმა. 23 წლის ასაკში ის აშშ-ში ჩავიდა, სადაც უფრო ხარისხიანი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ამჟამად 54 წლის პერესი მინებჩამუქებულ და ფარდებჩამოფარებულ სახლში ცხოვრობს. ამის გათვალისწინებითაც კი მას ყოველ ორ საათში ერთხელ უწევს კანზე გარუჯვის საწინააღმდეგო საცხის წასმა.

ის გარეთ ძალიან იშვიათად გამოდის და მაშინაც სპეციალურ კოსტიუმს იცვამს, რომლის წონაც ორ კილოგრამს აღწევს. მას ასევე უწევს, თავი აარიდოს ჰალოგენურ ნათურებს და მუდმივად თან ატარებს ექსპონომეტრს განათების დონის გასაზომად.

## თაღლითი წლების განმავლობაში თავს გარდაცვლილად ასაღებდა



აშშ-ში ექსტრადირებულ იქნა მოლდოვის მცხოვრები, რომელიც საკუთარი გარდაცვალების ინსცენირებაშია ეჭვმიტანილი, რათა ასეთი ხერხით მიეღო დაზღვევის თანხა. ამ ინფორმაციას აშშ-ის მინესოტის ოლქის ფედერალური პროკურორის ოფისი ავრცელებს.

სასამართლოს საბუთების თანახმად, 2010 წელს იგორ ვოროტინოვმა, რომელიც იმხანად შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა, საკუთარი სიცოცხლე ორ მილიონ დოლარად დააზღვია. მისი სიკვდილის შემთხვევაში ფულს მისი მეუღლე, ირინა, მიიღებდა.

2011 წლის ოქტომბერში მოლდოვის სოფელ კოჟუშნაში აღმოაჩინეს მამაკაცის ცხედარი, რომელსაც თან ვოროტინოვის პასპორტი, სასტუმროს ბარათები და საკონტაქტო ტელეფონი ჰქონდა. ირინა ვოროტინოვამ გარდაცვლილში საკუთარი მეუღლე ამოიცნო. მან გარდაცვალების მოწმობა მიიღო, ცხედარს კრემაცია ჩაუტარა და აშშ-ში მისი ფერფლით დაბრუნდა.

2012 წელს სადაზღვევო კომპანიამ ქალს ორი მილიონი დოლარი გადაუხადა. მომდევნო სამი წლის განმავლობაში ამ თანხის დიდი ნაწილი მოლდოვისა და შვეიცარიაში გახსნილ ანგარიშებზე გადაირიცხა.

2013 წლის ნოემბერში ვოროტინოვის შვილი მოლდოვაიდან აშშ-ში დაბრუნდა. საბაჟო შემოწმების დროს მის კომპიუტერში აღმოაჩინეს იგორ ვოროტინოვის ახალი ფოტოსურათები, რომლებიც მის გარდაცვლილად ცნობიდან ორი წლის შემდეგ იყო გადაღებული.

2015 წელს ვოროტინოვი და მისი მეუღლე თაღლითობაში დაადანაშაულეს, რომელიც საფოსტო და სატელეგრაფოს უკავშირდებოდა. ირინას ბრალად ედებოდა ფინანსური ოპერაციები, რომლებიც უკანონო გზით ჰქონდა მიღებული. ქალმა დანაშაული აღიარა და მას 37 თვით პატიმრობა მიესაჯა. მისმა შვილმა პირობითი სასჯელი მიიღო დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო. გარდა ამისა, მათ მიღებული ორი მილიონი დოლარის დაბრუნებაც მოუწევთ.

2018 წლის 14 ნოემბერს ვოროტინოვი მოლდოვაში დააპატიმრეს და სამი დღის შემდეგ მისი აშშ-ში ექსტრადიცია განხორციელდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ატესტატის გაყალბების გამო დამლაგებელს 10 წლით პატიმრობა მიესაჯა



საბერძნეთის პროკურატურა დაინტერესდა დამლაგებლის საქმით, რომელსაც 10 წლით პატიმრობა მიესაჯა სკოლის დამთავრების მოწმობის გაყალბებისთვის.

საქმის მასალების თანახმად, ქალს ბრალად ედებოდა, რომ მან გააყალბა საკუთარი სკოლის ატესტატი, რომელშიც მიუთითა, რომ დაამთავრა ექვსი და არა ხუთი კლასი. გაყალბებული საბუთის წყალობით ქალმა 1996 წელს საბერძნეთის ქალაქ ვოლოსში გამართულ სკოლის დამლაგებლების თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და სადაც ის შემდგომი 20 წლის განმავლობაში შრომობდა.

53 წლის ქალმა განმარტა, რომ საბუთის გაყალბების გადაწყვეტილება ფინანსურმა გაჭირვებამ გადააწყვეტინა, მას ბავშვები და ინვალიდი მეუღლე ჰყავდა სარჩენი.

გაყალბების აღმოჩენის შემდეგ ქალაქის პირველი ინსტანციის სასამართლომ ქალს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა თაღლითობისა და სახელმწიფოსთვის 120 ათასი ევროს ზარალის მიყენებისთვის. შემდგომში სააპელაციო სასამართლომ მას პატიმრობის ვადა 10 წლამდე შეუმცირა. „დამნაშავე“ სასჯელის მოსახდელად ქალაქ ფივის ციხეში მოათავსეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ქვეყანაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასეთმა მკაცრმა სასჯელმა აღაშფოთა. მთავარმა პროკურორმა სასამართლოს საბუთები გამოითხოვა, რათა განაჩენის გაუქმების პროცესი დაიწყოს. ასევე ის განიხილავს მოსამართლეთა დისციპლინური დასჯის საკითხსაც.

## სკანვორდი



1. ... ნოლტი; 2. სანელებელი; 3. ლანგარი; 4. ეკლიანი ბალახი; 5. ეშმაკობა, ხერხი; 6. ...-კლარჯეთი; 7. საყვარელი ქალი (ძვ.); 8. თხის ტყავის ჭურჭელი სითხისთვის; 9. რისამე დედააზრი; 10. სასტუმროს მსახური ბიჭი; 11. შტატი (აშშ); 12. მამითადი; 13. რესტორნის საჭმელ-სასმელის ნუსხა; 14. ძალიან პატარის აღმნიშვნელი წინსართი; 15. ჩანაფიქრი; 16. მასმედიის საშუალება; 17. მსხვილი კაპიტალისტი; 18. ქალაქი კორსიკაზე; 19. სულთმობრძავის მდგომარეობა; 20. მდინარე შვეიცარიაში; 21. ქართული ტელეარხი; 22. ჰომეროსის პოემა; 23. გაზაფხულის თვე; 24. იუპიტერის თანამგზავრი; 25. სახელმწიფო აფრიკაში; 26. კუზიანი კურდღელი; 27. ღვინისა და არყის შესანახი ადგილი; 28. ტურგენევის მოთხრობა; 29. ვივიენ ...; 30. პერიოდული სხდომა პარლამენტში; 31. ... კლინტონი; 32. სახელმწიფო აფრიკაში; 33. ტერიტორია სამხედრო მეცადინეობებისთვის; 34. ესპერანტოს ვარიანტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კოპოლა; 2. თუნი; 3. პაციფისტი; 4. ფლეში; 5. სორბონა; 8. დუქანი; 9. მიხაილოვო; 12. ჰენესი; 14. მაკეტი; 16. ალილო.

**თარაზულად:** 1. კარტოთეკა; 6. ვატერლოო; 7. პრუდონი; 9. მარიცა; 10. ფინო; 11. კარწახი; 13. სამოა; 15. ბეკინა; 17. სირტაკი; 18. ველენი; 19. ბასტია; 20. ბომონდი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხუცური; 2. კოხი; 3. შერმადინი; 4. მეგრე; 5. მისხალი; 8. რიკოთი; 9. ალტიმეტრი; 12. სუძუკი; 14. მატისი; 16. ალენი.

**თარაზულად:** 1. ხვანჭკარა; 6. გემრიელი; 7. ციურიხი; 10. მესა; 9. არემჯი; 11. სორბიტი; 13. ხომლი; 15. ტუნიკა; 17. ლიბრეტო; 18. მულინე; 19. პრესტო; 20. მირიანი.

## ასტროპროგნოზი 26 ნოემბრისათვის



**ვერძი** — კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** — ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** — კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** — იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** — წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** — ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით — სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** — მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** — ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** — კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** — თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** — ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** — ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## გარდაცვლილი დედის სახლში ჩვილის მუმია იპოვეს

ინგლისის ნორტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ ნორტალერტონში გარდაცვლილი ქალის ნივთებს შორის აღმოაჩინეს კოლოფი, რომელშიც გარდაცვლილი ახალშობილი იდო.



ეს აღმოჩენა მისმა ქალის შვილებმა მისი გარდაცვალების შემდეგ მის სახლში გააკეთეს. კოლოფში, რომელიც კიბის ქვეშ მდგომ კარადაში იდო, აღმოჩნდა ახალშობილი ბიჭის მუმიფიცირებული ცხედარი.

პოლიცია რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა მისი გარდაცვალების გარემოების დადგენას. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბავშვი უდღეური დაიბადა. მათ ვერ აღმოაჩინეს ტრავმის კვალი, თუმცა ვერ ახერხებენ პასუხი გასცენ კითხვას, ის დაბადების შემდეგ დაიღუპა თუ მკვდარი დაიბადა. ქსოვილი, რომელშიც ბავშვის ცხედარი იყო გახვეული, 1950-იანი წლების ბოლოს ან 1960-იანი წლების დასაწყისშია დამზადებული. იქვე კოლოფში იდო წერილი, რომელიც 1968 წლით არის დათარიღებული.

დნმ-ს ანალიზმა დაადასტურა, რომ ბავშვის დედა გარდაცვლილი ქალი იყო, ხოლო მამა, მისი ყოფილი მეუღლემ რომელსაც 1968 წელს გაჰყვა ცოლად. მამაკაცი ამტკიცებს, რომ მისთვის არაფერი იყო ცნობილი არათუ ბავშვის შესახებ, არამედ იმ დროს მეუღლის ფეხმძიმედ ყოფნის შესახებაც.

## ქალმა ექვსი დღე უდაბნოში გაატარა და გადარჩა

ავსტრალიელმა ქალბატონმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ გაატარა ექვსი დღე უდაბნოში მას შემდეგ, რაც გზა აერია და სხვაგან გადაუხვია.

ბრუკ ფილიპსი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში საკუთარი შავი ფერის ყველგანმავალით კატასთან და ძაღლთან ერთად მგზავრობდა. რაღაც მომენტში 40 წლის ქალმა სხვაგან გადაუხვია და მისი მანქანა გაიჭედა.



მან საკუთარი მდგომარეობის საფრთხე სათანადოდ ვერ შეაფასა და მთელი წყალი, რომელიც მას თან ჰქონდა, პირველივე საღამოს დალია. შემდგომი ხუთი დღის განმავლობაში იმით უწევდა დაკმაყოფილება, რაც თან ჰქონდა, – სოუსი მაკარონისთვის და მინის საწმენდი სითხით. მეორე ღამით მან წვიმის წყალობით ცოტა წყლის შეგროვება მოახერხა.

– გულახდილად ვაღიარებ, ბოლო დღეს საკუთარი შარდის დალევა მიწევდა, – განაცხადა ქალმა.

ექვსი დღის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა დაახლოებით 30 გრადუსი სითბოს ფარგლებში მერყეობდა. ქალი მანამდე სარგებლობდა კონდიციონერით, სანამ მანქანას საწვავი არ გაუთავდა. შემდეგ კი მას ფანჯრები ჰქონდა გაღებული და მათ პირსახოცს აფარებდა, თუმცა ეს დიდად არ შველოდა.

ქალს პროდუქტებიდან, მაკარონის სოუსის გარდა, ასევე ჰქონდა ქოქოსის ნაღები, ცოტა პომიდორი, ლიმონის წვენი, ჟოლოს სიროფი და რამდენიმე შეკვრა კრეკერები.

საბოლოოდ ქალის ადგილსამყოფელს მისმა 16 წლის ქალიშვილმა მიაგნო, რომელიც ოლქის სხვა მცხოვრებლებთან ერთად სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობდა. ქალი ექიმებმა გასინჯეს და, მათი თქმით, მისი მდგომარეობა მოსალოდნელზე გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა.

## მეზობელს ვიდეოთამაში ოჯახური ძალადობა ეგონა და პოლიცია გამოიძახა



აშშ-ში ახალგაზრდა წყვილის სახლში, რომლებიც ვიდეოთამაშით ერთობოდნენ, პოლიციელები შეიჭრნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცავები მეზობელმა გამოიძახა, რომელსაც თამაშით გამოწვეული ხმაური წყვილის ჩხუბი ეგონა.

ინციდენტი ფლორიდის შტატის ქალაქ დილენდში მოხდა. წყვილის მეზობლად მცხოვრებმა ქალმა 911 აკრიფა და დისპეტჩერს აცნობა, რომ მეზობელი ბინიდან მას ჩხუბი და ყვირილი ესმის.

– ჩემი და სიგარეტის მოსაწევად გავიდა გარეთ და ქალის ყვირილის ხმა გაიგონა: „გთხოვ არ მომკლა“ და ასევე რეპლიკა: „ეს ჩემი იარაღია, მომეცი“, – განაცხადა ქალმა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა სახლს ალყა შემოარტყეს და კარზე დააკაკუნეს. გამოიხედა გაკვირვებულმა ქალმა. მან პოლიციელებს განუმარტა, რომ მეუღლესთან ერთად ვიდეოთამაშით ერთობოდნენ, ხოლო მათი მოსვლის მომენტისთვის უკვე დასაძინებლად იყვნენ დაწოლილი. სახლის ჩხრეკის შედეგად იქ იარაღი არ აღმოუჩენიათ.

## წვეულების სტუმარს სალტოს შესრულების დროს იატაკი ჩაუტყდა



წვეულებაზე ცეკვის დროს ერთ-ერთმა სტუმარმა უკუსალტო გააკეთა და ძირს დაშვების დროს ფეხქვეშ იატაკი ჩაუტყდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ხტება თეთრი ფერის კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცი, რის გამოც მის ფეხქვეშ იატაკის საფარი იმსხვრევა. მასთან დანარჩენი სტუმრები მიდიან იმის სანახავად თუ რა მოხდა. ერთი-ერთი მათგანი კი ცდილობს, იატაკის დამტვრეული ნაწილები თავის ადგილზე დაალაგოს.

## საჭმელზე ეკონომიამ სტუდენტს თავი საავადმყოფოში ამოაყოფინა



ჩინელი სტუდენტი გოგონა სამი კვირის განმავლობაში მხოლოდ სწრაფი მომზადების ლაფშით იკვებებოდა, რათა ამით ეკონომია გაეკეთებინა და ფული ონლაინმაღაზიებში დიდი ფასდაკლებით ვაჭრობისთვის შეეგროვებინა. ამის შედეგად გოგონამ თავი საავადმყოფოში ამოყო და მთელი დაზოგილი ფული მკურნალობაში დაეხარჯა.

ხუნ ცზია დიეტაზე იმისთვის დაჯდა, რომ სურდა, რაც შეიძლება ბევრი ნივთი შეეძინა ფასდაკლების დღეს. მას საამისო თანხა არ ჰქონდა. ამიტომ მან ეკონომიის მიზნით თავის ძირითად კერძად ლაპფშა შეარჩია, რომელსაც, უბრალოდ, ადუღებული წყლის დასხმა სჭირდება და ორ წუთში მზადდება.

ასეთ დიეტაზე გადასვლიდან სამ კვირაში ცზიამ მაღალი ტემპერატურის გამო საავადმყოფოში ამოყო თავი. მას მკურნალობა 200 დოლარი დაუჯდა, რაც მთელი მისი დანაზოგი აღმოჩნდა.

## პრინცი ჰარი და მეგან მარკლი სასახლეს ტოვებენ



პრინცი ჰარი და მისი ფეხმძიმე მეუღლე მეგან მარკლი კენსინგტონის სასახლის დატოვებას აპირებენ, სადაც მათ ბრიტანეთის სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად უწევთ ცხოვრება. ისინი ქალაქგარე ფროგმორ-ჰაუსის რეზიდენციაში დაიდებენ ბინას, სადაც მათი ქორწილის საზეიმო მიღება გაიმართა.

კენსინგტონის სასახლის ცნობით, ამჟამად წყვილი პირველი ბავშვის დაბადებისთვის ემზადება. ამ დროისთვის შენობის შესაკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს. წყვილის ქალაქგარე რეზიდენციაში გადასვლა მომავალი წლისთვის არის დაგეგმილი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდაპირველად სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია ახლახან რესტავრირებულ სასახლის აპარტამენტებში აპირებდნენ ცხოვრებას, მაგრამ პრინც ჰარისა და მის უფროს ძმას უილიამს შორის „გარკვეული დაძაბულობა“ წარმოიქმნა და ამის გამო გეგმები შეიცვალა.

## გამვლელმა ცეცხლმოკიდებული სახლიდან გადმოგდებული ბავშვი დაიჭირა



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ დალასში მამაკაცმა დაიჭირა ერთი წლის ბავშვი, რომელიც დედამ ცეცხლმოკიდებული სახლის ფანჯრიდან გადმოაგდო.

მრავალბინიან სამსართულიან სახლს ცეცხლი დილით ადრე წაეკიდა, როდესაც მობინადრეთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ეძინა. ქუჩაში მიმავალმა ბაირონ კემპბელმა ხანძარი შენიშნა. ის შენობასთან გაჩერდა და იმ პოლიციელებსა და მეხანძრეებს შეუერთდა, რომლებიც საფრთხის თაობაზე გასაფრთხილებლად ბინების კარზე აკაკუნებდნენ.

კემპბელმა ერთ-ერთ ფანჯარაში ჩვილბავშვიანი ქალი შენიშნა. ის მესამე სართულზე იმყოფებოდა, რომლის გასასვლელები ცეცხლს ჰქონდა გადაკეტილი.

– ბავშვი ტიროდა და ახველებდა, აშკარა იყო, რომ ფილტვები ბოლით ჰქონდა სავსე, – აცხადებს კემპბელი, – ქალს დავუძახე, რომ ბავშვი გადმოეგდო. ის ასეც მოიქცა. ბავშვი დავიჭირე და უსაფრთხო ადგილას გადავიყვანე.

ცეცხლმოკიდებული სახლის ფანჯრებთან ლეიბები გაშალეს, რომელზე ექვსი ადამიანი, მათ შორის ბავშვის დედაც, გადმოხტა. ხანძრის შედეგად სახლის ორმა ბინადარმა და მეხანძრემ მსუბუქი ტრავმები მიიღეს, 40-მდე ადამიანი კი თავშესაფრის გარეშე დარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თემურ ჩხეიძის 75 წლის იუბილე თეატრალურ უნივერსიტეტში აღინიშნება



ქართული თეატრის პატრიარქად წოდებულ რეჟისორ თემურ ჩხეიძეს 75 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი მარჯანიშვილის თეატრმა რეჟისორის სპექტაკლების კვირეულით აღნიშნა.

26 ნოემბერს საიუბილეო თარიღს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტიც აღნიშნავს. დოდო ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის აუდიტორიაში, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძის ორგანიზებით, „შეხვედრები თეატრალურში“ ციკლის ფარგლებში გაიმართება რეჟისორ თემურ ჩხეიძის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი შეხვედრა.

საღამოს გაუძღვება ნიკოლოზ წულუკიძე და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## ნანიკო ხაზარაძე გათხოვდა



ტელეკომპანია „იმედის“ სახე, ტელეწამყვანი ნანიკო ხაზარაძე გათხოვდა. მისი რჩეული ლევან მათითაშვილია.

ტელეწამყვანმა სოციალურ ქსელში თავის მეუღლესთან ერთად ქორწინების დღეს გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა.

ნანიკომ და ლევანმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს. ნანიკოსთვის ეს მეორე ქორწინებაა. ტელეწამყვანი პირველ ქორწინებაში ლევან ნუცუბიძესთან იმყოფებოდა, რომელთანაც გოგონა – ლილუ ნუცუბიძე ჰყავს.

## ლევან კბილაშვილმა რუსული „ვოისის“ რინგზე გაიმარჯვა



მომღერალი ლევან კბილაშვილი რუსულ „ვოისში“ მონაწილეობს და კონსტანტინე მელაძის გუნდის წევრია.

მწვრთნელმა ქართველ კონკურსანტ ლევან კბილაშვილთან ერთად რინგზე სომეხი მომღერალი ნარეკ გევორქიანი დააყენა და მათ ცნობილი ქართული სიმღერა „მახინჯი ვარ“ ამღერა. სიმღერა 1970 წელს ჟუჟუნა ჭრელაშვილმა დაწერა. ერთ-ერთი ვერსიით, სიმღერის ავტორი საწოლს იყო მიჯაჭვული და ეს სიმღერა იმ მამაკაცს მიუძღვნა, რომელიც უზომოდ უყვარდა.

ქართულად და სომხურად შესრულებულმა სიმღერამ ჟიური და დარბაზი აღაფრთოვანა. კონსტანტინე მელაძის გადაწყვეტილება სიმღერის ორ ენაზე შესრულებასთან დაკავშირებით დანარჩენმა მწვრთნელებმა მოიწონეს. საბოლოოდ მელაძე არჩევანის წინაშე დადგა – ლევანი თუ ნარეკი. მან გადაწყვეტილება ქართველის სასარგებლოდ მიიღო და ლევანი პროექტში დატოვა.

## ამირან შალიკაშვილი გარდაიცვალა



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 79 წლის ასაკში გამოჩენილი რეჟისორი, მსახიობი, ქართული პანტომიმის ჟანრის ფუძემდებელი და პანტომიმის თეატრის დამაარსებელი ამირან შალიკაშვილი გარდაიცვალა.

სამოქალაქო პანაშვიდები საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრში სამშაბათს და ოთხშაბათს გაიმართება, გამოსვენება კი ამავე თეატრიდან ხუთშაბათს იქნება.

**ანუკა მურვანიძე, გრიმიორი:**

– მე ბედნიერი ვარ, რომ ამ 3 წლის განმავლობაში მქონდა ამ პიროვნებასთან შეხება! მადლობა მაესტრო ყველაფრისთვის. მე ბედი მხვდა წილად, თქვენთან ერთად მემუშავა. მტკივა და მწყინს უთქვენობა.

**თორნიკე დიღმელაშვილი, პანტომიმის თეატრის მსახიობი:**

– მაესტრო, რომელმაც შემაყვარა მსახიობის ოსტატობა, შემაყვარა თეატრი და მასწავლა ყველაფერი თეატრის ცხოვრების შესახებ. მე ვარ ძალიან ამაყი და ბედნიერი, რომ ჩემი აღმზრდელი რეჟისორი ხართ და წლების განმავლობაში მერგო პატივი, თქვენთან ერთად ვმდგარიყავი სცენაზე. მადლობა, ბატონო ამირან, ყველაფრისთვის.

**ირაკლი ბიბილური, პანტომიმის თეატრის მსახიობი:**

– პანტომიმის ჟანრის ფუძემდებელი და დამაარსებელი ამირან შალიკაშვილი, რომელმაც შექმნა ეპოქა, ძალიან ბევრი თაობები აღიზარდა მის უნიკალურ სპექტაკლებით, მან შექმნა შედევრები. მე მადლობელი ვარ და მიხარია, რომ მხვდა ეს ბედნიერება წილად. ღმერთმა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ!

**მურაზ მურვანიძე, მხატვარი:**

– ქედის მოხრითა და მადლიერების გრძნობით ამ დიდი პიროვნების მიმართ დიდად ვარ დამწუხრებული! ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი ნათელი სული!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6585

ევრო — 3.0347

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4287

100 რუსული რუბლი — 4.0568

## ამინდის პროგნოზი 26 ნოემბრისთვის




# ბორჯღალოსნებმა წელი მოგებით დახურეს

**საქართველო-ტონგა 20:9**

2018 წლის დასკვნით მატჩში ბორჯღალოსნებმა წვიმიან ამინდში ტონგა სარეკორდო სხვაობით, 20:9 დაამარცხეს და კუნძულელებთან დადებითი ბალანსი განიმტკიცეს – 5 მოგება 2 მარცხის წილ.

აღსანიშნავია, რომ „ზღვის არწივებს“ 2015 წლის მსოფლიო თასიდან დღემდე მეოთხედ ვერკინეთ და მეოთხედაც გამარჯვება მოვიპოვეთ. სასიამოვნოა, რომ ამჯერად მეტოქეს ლელო არ გავატანინეთ, თავად 2 მივითვალეთ და „მსოფლიო რაგბის“ განახლებულ რეიტინგში კუთვნილ მე-13 ადგილს დავიბრუნებთ.



მნიშვნელოვანი და სასიხარულო მომენტია, რომ საქართველომ ეს თამაში და ზოგადად წლევანდელი ნოემბრის ტესტები გადახალისებული შემადგენლობით ჩაატარა. გუნდის საშუალო ასაკი 23-24 წელს შეადგენდა, თუმცა ამას სამოასა და ტონგას ნაკრებების დამარცხებისთვის ხელი არ შეუშლია, რაც სამომავლო იმედს იძლევა.

ტონგას ლელოები მესამეხაზელმა ოთარ გიორგაძემ და ბურჯმა ზურაბ ჟვანიამ გაუტანეს, თედო აბჟანდაძემ კი ორ გარდასახვას ორი ზუსტი ჯარიმა მიაყოლა.

ბორჯღალოსნები მატჩამდეც ამბობდნენ, რომ მეტოქისგან ძლიერ დასაწყისს ელოდნენ და ეცდებოდნენ მათ ბევრით არ ჩამორჩენილიყვნენ. ასეც მოხდა და 17 წუთის შემდეგ ტონგა სონატანე ტაკულუას ორი ჯარიმით 6:0 დაწინაურდა.

ბორჯღალოსნები მოწინააღმდეგეს ჯანში სჯობდნენ, აქცენტი მოლზე ხშირად კეთდებოდა და ამან 25-ე წუთზე შედეგი მოიტანა. მოლმა წინ ათიოდ მეტრი იარა, მას ოთარ გიორგაძე დროულად მოწყდა და მისი ლელო თედო აბჟანდაძემ არცთუ იოლი პოზიციიდან გარდასახა – 7:6 და პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ ტაკულუამ მესამე ჯარიმა გაიტანა და ტონგელებს ლიდერობა დაუბრუნა. მალე რეფერიმ ბექა გორგაძე გაასინბინა, თუმცა კაცნაკლულმა ბორჯღალოსნებმა იქით შეუტიეს და ჯარიმაც გამოიმუშავეს, მაგრამ აბჟანდაძეს ეროვნულში გამოჩენის შემდეგ პირველი დარტყმა გაუცუდდა. მალევე ტონგელებს გადაკიდებული ბურთი დაუვარდათ, შერკინებაში დაჯარიმდნენ და ამჯერად თედო ზუსტი იყო – 10:9.

ტაიმის შუაში რეფერიმ შეცვლაზე შესული მერაბ კვირიკაშვილი გაასინბინა და, საბედნიეროდ, ტაკულუას გასატანი პოზიციიდან ჯარიმა გაუცუდდა. სამაგიეროდ, აბჟანდაძემ 73-ე წუთზე უშეცდომოდ დაარტყა და დასკვნითი წუთების წინ 4-ქულიანი უპირატესობა მოგვიპოვა. გაწითლებულ დროზე საქართველომ კარგი კონტრშეტევა წამოიწყო, ბურთი ფრთაზე გაშალა, მეტოქემ აუტში ვერ გადაგვიყვანა, ოვალი შეცვლაზე შესულმა ზურაბ ჟვანიამ მოიხელთა, რამდენიმე მეტოქე არ შეიმჩნია და ლამაზი ლელო გაიტანა, აბჟანდაძემ კი გარდასახვით წერტილი დასვა და ტონგასთან ურთიერთშეხვედრებში სარეკორდო სხვაობა, 20:9 დააფიქსირა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# იუმორი

●●●

კაცი მეგობრებს ეუბნება:

– ბიჭებო, ცოლმა სახლიდან გამომაგდო!

– შენ რა, ცოლი გყავს?

– მერე, ვინ გითხრათ, რომ ჩემმა ცოლმა?

●●●

ოფიციანტი გოგონა დაქალს უყვება:

– დღეს კლიენტი მყავდა, ჯერ ცოლად მოყვანას დამპირდა, შემდეგ კი დაეძინა.

– შენზე დაეძინა?

– არა, მაგიდაზე!

– და შენზე დაქორწინებას დაგპირდა?

– ჰო, ჩემზე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ყოველ დილით მეტროში, მიუხედავად ჭყლეტისა, ვკითხულობ და ვკითხულობ.

– და რას კითხულობ?

– „ნუ მიეყრდნობით“.

●●●

კომპიუტერთან მჯდომ პროგრამისტ ქმარს ცოლმა ყავა მიუტანა. ქმარმა ყავა ისე მოხვრიპა, რომ მონიტორისთვის თვალი არ მოუცილებია და სახედამანჭული ეუბნება:

– ხომ იცი, რომ უშაქრო ყავას ვერ ვიტან!

– ვიცი, ძვირფასო, ვიცი, მაგრამ, უბრალოდ, შენი ხმის გაგონება მსურდა.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რა საერთოა „მერსედესის“ გენერალურ დირექტორსა და „ავტოვაზის“ გენერალურ დირექტორს შორის?

– ორივე „მერსედესით“ დადის.

●●●

სახლში გვიან ღამით დაბრუნებულ მთვრალ მეუღლეს ცოლი კართან ხელში ტაფამომარჯვებული შეეგება და ეკითხება:

– სად დაეთრეოდი, საქონელო?

– ძვირფასო, სასაფლაოზე ვიყავი.

– ვინ მოკვდა?

– არ დამიჯერებ, მაგრამ იქ ყველა მკვდარია!

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, როდის შემეძლება სახლში იმ დროს დაბრუნება, როდესაც თავად მოვისურვებ?

– არ ვიცი, შვილო, ჯერ მაგ ასაკისთვის არ მიმიღწევია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა

– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები

– კანის დაავადებები

– უროლოგია

– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2

ტელეფონი: 2 47 91 12

10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2

ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# პოლიციელის კბენისთვის ლეკვი დააპატიმრეს



დიდ ბრიტანეთში ჩაუ-ჩაუს ლეკვი იმის გამო, რომ მან პოლიციელს ხელზე უკბინა, გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ეს გადაწყვეტილება ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობისთვის მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა.

ინციდენტი ნორტჰემპტონშირის საგრაფოს სოფელ სტოკ-ბრუერნში პარასკევს მოხდა. ოთხი თვის ლეკვი, სახელად ბანგლი, თავისი პატრონის, მილიონერი ბანკირის ჰეისის სახლის ეზოდან გამოვარდა და ქუჩაში აღმოჩნდა. ის მანქანების მოძრაობას აფერხებდა. მისი დაჭერა პოლიციელმა ცადა, მაგრამ ლეკვმა მას ხელსა და წინამხარზე უკბინა. ამის შემდეგ ის მაინც დაიჭირეს, განყოფილებაში მიიყვანეს და გალიაში ჩასვეს. ლეკვს საპატიმროში შესაძლოა ცხრა თვემდე მოუწიოს ყოფნა. სამართალდამცავები ამტკიცებენ, რომ ისინი 1991 წლის კანონის შესაბამისად მოქმედებენ – აქტი „სახიფათო ძაღლებზე“.

პოლიციის გადაწყვეტილებამ მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. ექვს დღეში ფეისბუქში 2,5 ათასი ადამიანი გაწევრიანდა ჯგუფში, რომელიც ბანგლის გათავისუფლებას ითხოვს. ლეკვის პატრონმა დევიდ ჰეისმა განაცხადა, რომ ის პატივს სცემს პოლიციას, მაგრამ მათ გადაწყვეტილებას გადამეტებულად და არაადექვატურად მიიჩნევს. მან დაიქირავა ადვოკატები, რათა ისინი მომხდარში გაერკვნენ.

ამ ყველაფერზე პოლიციამ უპასუხა, რომ ძაღლი, რომ თავს ბავშვს დასხმოდა, ან ავარიის პროვოცირება გამოეწვია, მაშინ საზოგადოების რეაქცია სრულიად სხვაგვარი იქნებოდა და მათ ლეკვის დამცველები ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულეს. რაც შეეხება დაკბენილ პოლიციელს მას ცოფის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთდა და ანტიბიოტიკების კურსს გადის.

# სპილოების ჯოგი ინდურ სოფელში შეიჭრა



ინდოეთის შტატების ტამილნადისა და კარნატაკას საზღვარზე მდებარე სოფელ გობასანდირამში სპილოების ჯოგი შეიჭრა.

ათეულობით სპილოს სოფელში გამოჩენამ ადგილობრივები შეაშინა. სატყეო უწყების თანამშრომლები ზომებს იღებენ იმისთვის, რომ ცხოველები ისევ ტყეში შერეკონ.

ათეულობით სპილო, თავიანთ სპლიყვებთან ერთად, ოთხი თვის განმავლობაში დაძრწოდა ოლქის მთელ ტერიტორიაზე. მათ გადაადგილებას ორივე შტატის სატყეო უწყების თანამშრომლები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სახლის დალაგება ოჯახურ წყვილს გამდიდრებაში დაეხმარა




ამერიკის ლუიზიანის შტატის მცხოვრებმა წყვილმა საკუთარი სახლის გენერალური დალაგების დროს მიაგნო ლატარიის ბილეთს, რომელმაც მათ 1,8 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

ჰაროლდ და თინა ეჰრენბერგებმა ძველი ლატარიის ბილეთების შეკვრას კარადაში მიაგნეს, როდესაც ისინი სახლს ალაგებდნენ და სტუმრების დასახვედრად ემზადებოდნენ. მათ გადაწყვიტეს, ბილეთები ლატარიის გათამაშების ვებგვერდზე შეემოწმებინათ და აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი ბილეთის ნომრები მთლიანად ემთხვეოდა მოგებულ ნომრებს.

– თავიდან ვიფიქრე, რომ შევცდით, აგვერია ციფრები ან ბილეთის მოქმედების ვადა. ჩვენ ის რამდენჯერმე გადავამოწმეთ, – განაცხადა ჰაროლდმა. წყვილმა ბილეთები დროულად იპოვა, ვინაიდან მათი ვადა ორ კვირაში იწურებოდა.

წყვილი ლატარიის გათამაშების ოფისში მივიდა, ბილეთი წარადგინა და მოგება დადასტურდა. გადასახადების გადახდის შემდეგ მათ 1,27 მილიონი დარჩათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი



**თარაზულად:** 6. ფრანგი მწერალი; 7. ურანოსისა და გეას შვილი ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ველური ზოლებიანი ცხენი; 9. რაიმე მოძღვრების მომხრე; 10. ტყის მსხალი; 13. შენობის მთავარ კარნიზს ზემოთ სართული; 15. მცირე პიესა, მუსიკალური ნაწარმოების ორ ნაწილს შორის ჩართული; 18. შტატი აშშ-ში; 20. საჰაეროსთან დაკავშირებული სიტყვის თავსართი; 21. შენობა მუსიკალური წარმოდგენისთვის ძველ საბერძნეთში; 23. კინოფილმების საწარმო; 24. ძველგერმანული ვერცხლის ფული.

**შვეულად:** 1. ტიპობრივი ნიმუში; 2. წვრილი გვარლი; 3. პატარა სატვირთო-სამგზავრო მანქანა; 4. ბუდისტთა მღვდელი; 5. რისამე საგანგებოდ შერჩეული ნარევი; 11. ხელით სატარებელი ბარგი; 12. საზღვაო მოგზაურობა; 14. მუსიკალური ნაწარმოების დამამთავრებელი ნაწილი; 16. ხელოვნური ბოჭკო; 17. მსხვილი კაპიტალისტი; 19. პლანეტა ნეპტუნის თანამგზავრი; 21. ზღვის დიდი კიბო; 22. სიგრძის საზომი ერთეული.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*